140/1952/3
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

11
ნოემბერი
1952



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 11

ნოემბერი, 1952 წ.

წელიწადი XXVI




ი. ბ. სტალინი

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე

(ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დელეგატები ხვდებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „დიდება დიდ სტალინს!“).

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჩვენი ყრილობის სახელით მადლობა ვუძღვნა ყველა მოძმე პარტიასა და ჯგუფს, რომელთა წარმომადგენლებმაც პატივი დასდეს ჩვენს ყრილობას თავიანთი დასწრებით ან რომლებმაც გამოუგზავნეს ყრილობას მისალმების მიმართვები, — მეგობრული მოსალმებისათვის, წარმატების სურვილისათვის, ნდობისათვის. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა**).

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს ნდობა, რომელიც ნიშნავს მზადყოფნას—მხარი დაუჭირონ ჩვენს პარტიას მის ბრძოლაში ხალხთა ნათელი მომავლისათვის, მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს პარტიას, რომელიც მძლავრი ძალა გახდა, მხარდაჭერა აღარ სჭირდება. ეს სწორი არ არის. ჩვენს პარტიას და ჩვენს ქვეყანას ყოველთვის სჭირდებოდათ და კვლავაც დასჭირდებათ საზღვარგარეთელი მოძმე ხალხების ნდობა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

ამ მხარდაჭერის თავისებურება ის არის, რომ ყოველი მოძმე პარტიის მიერ ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის ყოველგვარი მხარდაჭერა ამავე დროს ნიშნავს იმას, რომ მხარი დაუჭირონ თავიანთ საკუთარ ხალხს მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როცა ინგლისის მუშებმა 1918—1919 წლებში, საბჭოთა კავშირზე ინგლისის ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოაწყვეს ომის წინააღმდეგ ბრძოლა ლოზუნგით «ხელები შორს რუსეთისაგან», ეს იყო მხარდაჭერა, მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისთვის მხარდაჭერაც. როცა ამხანაგი ტორეზი ან ამხანაგი ტოლიატი აცხადებენ, რომ მათი ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ არ იომებენ (**მქუხარე ტაში**), ეს არის მხარდაჭერა, უწინარეს ყოვლისა მხარდაჭერა საფრანგეთისა და იტალიის მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის მხარდაჭერაც. ურთიერთმხარდაჭერის ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, უერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს. (**მქუხარე ტაში**). რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

გასაგებია, რომ ჩვენი პარტია ვალში ვერ დარჩება მოძმე პარტიებთან და მან თავის მხრივ მხარი უნდა დაუჭიროს მათ, აგრეთვე მათ ხალხებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ასეც იქცევა. (**მქუხარე ტაში**). მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ მიიღო რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის «დამკვრელი ბრიგადა» უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ «დამკვრელი ბრიგადის» წარმატებანი მდგომარეობას შეუმსუბუქებდნენ კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. (**მქუხარე ტაში**).

რა თქმა უნდა, ამ საპატიო როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, სანამ «დამკვრელი ბრიგადა» ერთადერთი იყო და სანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი, მაგრამ ეს წარსული ამბავია. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდა ახალი, «დამკვრელი ბრიგადები» სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან ის კომუნისტური, დემოკრატიული თუ მუშურ-გლეხური პარტიები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მუშაობა. მაგრამ მათთვის იმდენად ძნელი როდია მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო ჩვენთვის, რუსეთის კომუნისტებისათვის, ცარიზმის პერიოდში, როცა ოდნავ წინსვლით მოძრაობა უმძიმეს დანაშაულად ცხადდებოდა. მაგრამ რუსეთის კომუნისტებმა გამძლეობა გამოიჩინეს, სიძნელეებს არ შეუშინდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს. ამასვე მიაღწევენ ეს პარტიებიც.

მაინც რატომ იმდენად არ გაუძნელდებათ მუშაობა ამ პარტიებს მეფის პერიოდის რუსეთის კომუნისტებთან შედარებით?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მათ თვალწინ აქვთ ბრძოლისა და წარმატებათა ისეთი მაგალითები, როგორიც საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებშია. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ისწავლონ ამ ქვეყნების შეცდომებსა და წარმატებებზე და ამით გაიადვილონ თავიანთი მუშაობა.

მეორე, იმიტომ, რომ თვით ბურჟუაზია, — განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი, — სხვა გახდა, სერიოზულად შეიცვალა, უფრო რეაქციული გახდა, დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დაისუსტა თავი. გასაგებია, რომ ამ გარემოებამაც უნდა გაუადვილოს მუშაობა რევოლუციურ და დემოკრატიულ პარტიებს. (**მქუხარე ტაში**).

წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლი-

ბერალიზმისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ეგრეთწოდებული «პიროვნების თავისუფლება», პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. მე ვფიქრობ, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას. (**მქუხარე ტაში**).

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რასაც «ყველაფერზე მაღლა» აყენებდა. ახლა «ეროვნული პრინციპისაგან» კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს, მოგიხდებათ ამ დროშის აღმართვა და მისი წინ წაღება, თუ გსურთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერავინ აღმართავს მას. (**მქუხარე ტაში**).

ასეთია საქმის ვითარება ამჟამად.

გასაგებია, რომ ყველა ამ გარემოებამ მუშაობა უნდა გაუადვილოს კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება.

მაშასადამე, ყველა საფუძველი არსებობს გვქონდეს იმედი მოძმე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში. (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს ჩვენს მოძმე პარტიებს! (**ხანგრძლივი ტაში**).

სიცოცხლე და დღეგრძელობა მოძმე პარტიების ხელმძღვანელებს! (**ხანგრძლივი ტაში**).

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! (**ხანგრძლივი ტაში**).

ძირს ომის გამჩაღებლები! (**ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!“, „დიდ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!“. შეძახილები: „ვაშა“**).

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ИЦВЛЕБА ЧВЕНИ САМШОБЛОС РУКА

ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲠᲣᲙᲐ

დახედეთ ჩვენი სამშობლოს რუკას და დაინახავთ თუ რა გრანდიოზული ცვლილებები მოხდა სტალინური ხუთწლედების პერიოდში.

ისტორიას ჩაბარდა საუკუნეებრივი ჩამორჩენილობა. მიუხედავად აურაცხელი სიმდიდრეებისა მეფის რუსეთი ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანა იყო. მეფის რუსეთს უცხოეთში მხოლოდ პური გაჰქონდა და ესეც ხდებოდა არა სიჭარბის გამო, არამედ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის ანგარიშში.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობას ხელს უწყობდა ისიც, რომ მრეწველობის დიდი ნაწილი უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო. მეფის რუსეთი ფაქტიურად დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნახევარკოლონიას წარმოადგენდა. კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო ეკონომიურად და კულტურულად რუსეთის განაპირა მხარეები— შუა აზია და შორეული აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და ამიერკავკასია.



დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ექსპლოატატორები, გაანთავისუფლა ჩვენი სამშობლო უცხო ქვეყნის გავლენისაგან და დაიწყო სახალხო მეურნეობის არნახული ტემპებით განვითარება.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი შრომა შეწყვიტა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ, მაგრამ დიადი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ—ომისშემდგომ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მთლიანად აღდგენილი იქნა ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, კიდევ მეტიც—მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. ყველაზე მნიშვნელოვანი განვლილ ხუთწლედში ის იყო, რომ დიდი სტალინის მითითებით დაიწყო



ბუნების დიადი გარდაქმნა და კომუნიზმის დიადი მშენებლობანი ვოლგასა, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ პარტიის XIX ყრილობამ დასახა ახალი დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს გეგმა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, კულტურული დონის ამაღლებას.

## ახალი გეგმა—ახალი პერსპექტივები

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ახალი გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა პირველ რიგში მძიმე მრეწველობის (მეტალურგია, მანქანათმშენებლობა) შემდგომი ზრდაა, რადგანაც მძიმე მრეწველობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წინსვლის საფუძველია.

ხუთწლიანი გეგმის მეორე დამახასიათებელი ნიშანია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართობისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის განუხრელი ზრდა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია.

ახალი ხუთწლედის მესამე თავისებურებაა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდა, რეალური ხელფასის ერთი მესამედით გადიდება, ახალი ქალაქების, მუშათა დაბებისა და საკოლმეურნეო სოფლების მშენებლობა და კეთილმოწყობა.

ახალი ხუთწლედის მეოთხე დამახასიათებელი ნიშანია მეცნიერებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებათა ქსელის ზრდა, კვალიფიციური კადრების შემდგომი მომზადება.

„ეს ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას" („პრავდა").

## ქვეყნის საწარმოო ძლიერების მაჩვენებელი



როგორც ცნობილია თითოეული ქვეყნის საწარმოო ძლიერება დამოკიდებულია ენერგიაზე, ბუნებრივ სიმდიდრეზე და მათ გამოყენებაზე.

ენერგიის ისეთი წყაროებით, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთობი, ტორფი, ფიქლები, წყლის ძალა („თეთრი ნახშირი") და სხვ. ჩვენი ქვეყანა უმდიდრესია მთელს მსოფლიოში.

„ქვანახშირი—მრეწველობის ნამდვილი პურია" თქვა დიდმა ლენინმა. მართლაც, ქვანახშირს მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ქვანახშირი არის საწვავ-სათბობი, ქიმიური ნედლეული; მისგან ამზადებენ ხელოვნურ საწვავსაც. რევოლუციამდელ რუსეთში ქვანახშირის მოპოება წარმოებდა ძირითადად დონბასში და წლიური მოპოება არ აღემატებოდა 30 მილიონ ტონას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ქვანახშირის მრეწველობის მძლავრი კერები—დონბასი, ურალი, კუზბასი, ყარაგანდა, მოსკოვის აუზი და სხვ. საკმარისია აღინიშნოს რომ 1955 წლისათვის ჩვენი ქვეყანა მოიპოვებს თორმეტჯერ მეტ ქვანახშირს ვიდრე მეფის რუსეთი, და გაცილებით მეტს, ვიდრე კაპიტალისტური ევროპის ყველა სახელმწიფო ერთად აღებული. ხუთწლედის განმავლობაში ქვანახშირის მოპოვება 1950 წელთან შედარებით გაიზრდება 43%-ით.



დიდად გაიზრდება ნავთობის მოპოვებაც. ხშირად ამბობენ: ნავთობი ეს „მოტორების სისხლიაო". მართლაც, ნავთობს მოძრაობაში მოჰყავს თვითმფრინავი და ავტომობილი, ტრაქტორი და ტანკი. ნავთობი იძლევა სინათლესა და სითბოს, წარმოადგენს შესანიშნავ ნედლეულს ქიმიური მრეწველობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეორე ბაქოს (რომელიც მდებარეობს ურალსა და ვოლგას შუა), აქ დიდი რაოდენობითაა ბუნებრივი გაზიც და სწორედ აქედანაა გაზსადენი მილი გაყვანილი მოსკოვში (სარატოვი—მოსკოვი).

დიდად განვითარდება ნავთობის მოპოვება აგრეთვე ჩრდილო კავკასიასა და შუა აზიაში. იგი საბჭოთა კავშირში ხუთწლედის ბოლოსათვის 1950 წელთან შედარებით გაიზრდება 85%-ით.

ახალ ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა ელექტროსადგურების მშენებლობას. როგორც ცნობილია „თეთრი ნახშირი" ენერგიის ყველაზე სრულყოფილი წყაროა. მის მრავალრიცხოვან უპირატესობათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ელექტროენერგიის გადაცემა მავთულებით შორ მანძილზე. „თეთრი ნახშირის" მარაგით საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ელექტროენერგიის წარმოებით მეფის რუსეთი ჩამორჩებოდა ისეთ პატარა სახელმწიფოებსაც კი, როგორიცაა ბელგია ან პორტუგალია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების პირველი გეგმა სწორედ რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმა იყო. ყველასათვის ცნობილია დიდი ლენინის თეზისი: „კომუნიზმი ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია".

ახალ ხუთწლედში მწყობრში ჩადგება კახოვკაჰესი და კუიბიშევჰესი. ამ უკანასკნელიდან მოსკოვამდე გაყვანილი იქნება მსოფლიოში ყველაზე გრძელი და მძლავრი ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი. კუიბიშევჰესი ხელს შეუწყობს ქალაქ მოსკოვისა და მთელი ვოლგისპირეთის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. გარდა ამისა, მიმდინარე ხუთწლედში აშენდება მძლავრი ელექტროსადგურები ვოლგასა და მის შენაკადებზე, მდინარე ანგარაზე (ბაიკალის ტბიდან გამოედინება)—ანგარჰესი ყველაზე დიდი ელექტროსადგური იქნება მთელს ციმბირში და დიდად შეუწყობს ხელს მის განვითარებას.



ახალ ხუთწლედში ჩვენი ჰიდროელექტროსადგურები მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა ელექტროსადგური ერთად აღებული. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვა არა მარტო ელექტროენერგიის გამომუშავებით, არამედ ერთ სულ ადამიანზე ელექტროენერგიის მოხმარებით. 1950 წელთან შედარებით ხუთწლედის ბოლოსათვის ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 80%-ით.

## მრეწველობის საფუძველთა საფუძველი



ამხანაგი სტალინის თქმით ლითონი ჩვენი მრეწველობის საფუძველთა საფუძველია. მეფის რუსეთის ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ მეტალურგიის სისუსტე იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1919 წლისათვის რუსეთი დონბასსა და ურალში ადნობდა მხოლოდ 8,4 მილიონ ტონა ფოლადსა და თუჯს.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში შეიქმნა შავი მეტალურგიის ახალი მძლავრი კერები (ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ამიერკავკასია და ლენინგრადის ოლქი). 1913 წელთან შედარებით 1950 წელს ფოლადის გამოდნობა გაიზარდა ექვსჯერ, ხოლო თუჯისა 4,6 ჯერ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს გამოვადნოთ ფოლადი და თუჯი 9 ჯერ მეტი, ვიდრე მეფის რუსეთში; ანუ იმდენი, რამდენსაც იძლევა დასავლეთ ევროპის ექვსი მთავარი სახელმწიფო— ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, და ლუქსემბურგი. მარტო მაგნიტოგორსკი გამოადნობს იმდენ ფოლადს და თუჯს, რამდენსაც მთელი იაპონია.

ახალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხიანი ფოლადის დამზადებას, მეტალურგიული მრეწველობის მექანიზაციას, პროდუქციის შემდგომ ზრდასა და ახალ საწარმოთა მშენებლობას შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და კარელია-ფინეთში.

ჩვენ გაგვაჩნია მძლავრი ფერადი მეტალურგიაც. დიდი რაოდენობით ვამზადებთ სპილენძსა და ნიკელს, ტყვიასა და თუთიას, ალუმინისა და მაღალხარისხოვანი ფოლადის დასამზადებლად საჭირო იშვიათ ლითონებს — ვოლფრამს, მოლიბდენს, ქრომს და ა. შ. ახალი გეგმა ითვალისწინებს ფერადი ლითონების მოპოვებისა და გამოდნობის ერთიორად გადიდებას.

## მანქანათმშენებლობა



ამხანაგმა სტალინმა მანქანათმშენებლობა დაახასიათა როგორც სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მთავარი ბერკეტი. მანქანების გარეშე ჩვენ ვერ შევქმნიდით მსხვილ მრეწველობასა და მაღალმექანიზირებულ სოფლის მეურნეობას, ვერ შევაიარაღებდით საბჭოთა არმიას საჭირო საჭურველით. საბჭოთა კავშირში ყველაზე სწრაფად სწორედ მანქანათმშენებლობა ვითარდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამამულო ომის დაწყებამდე მანქანათმშენებლობა 1913 წელთან შედარებით 50-ჯერ გაიზარდა.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში ჩვენი ქვეყანა მოწყობილობის შემომზიდავ ქვეყნიდან ამ მოწყობილობათა მწარმოებელ ქვეყნად გადაიქცა. ჩვენში განვითარდა უნივერსალური მანქანათმშენებლობა (ე. ი. მძიმე, საშუალო და ზუსტი მანქანათმშენებლობა). არ არსებობს მანქანა, რომელიც ჩვენში არ მზადდებოდეს.

ჩვენს ქვეყანაში მზადდება საოკეანო გემები და მძლავრი ტურბოგენერატორები, გიგანტური მოსიარულე ექსკავატორები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლმავლები, ავტომობილები და ტრაქტორები, კომბაინები და ჩარხები, ზუსტი ხელსაწყოები, ამასთანავე ყველაფერი მზადდება საკუთარი ნედლეულით, ჩვენი საბჭოთა მუშაკების ხელით.



ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს გემთმშენებლობის (მათ შორის სამდინარო, თევზსაჭერი), ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობისა და დაზგათმშენებლობის შემდგომ ზრდას. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი მ. საბუროვი პარტიის XIX ყრილობაზე ამბობდა, რომ მიმდინარე ხუთწლედში მანქანათმშენებლობა ისეთი ტემპით განვითარდება, რომ ძირითადად დამთავრდება მექანიზაცია მრეწველობასა და მშენებლობაში.

მანქანათმშენებლობის შემდგომი ზრდა კიდევ უფრო გააძლიერებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. მანქანათმშენებლობისგანაა დამოკიდებული ტრანსპორტის განვითარებაც, აი, რატომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება მიმდინარე ხუთწლედში მანქანათმშენებლობის—მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას.

## ქიმიური მრეწველობა

— იცით თუ არა თქვენ, მისტერ, რომ რუსეთში მიიღეს ხელოვნური კაუჩუკი და უკვე შეუდგნენ მის სამრეწველო წარმოებას?—შეეკითხა ამერიკის გაზეთ „იუნიონის“ კორესპონდენტი ცნობილ ამერიკელ გამომგონებელ ედისონს.

— შეუძლებელია, ფანტაზიაა.—უპასუხა ედისონმა.

ეს მოხდა 1931 წლის 8 მაისს. საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ს. ლებედევმა მსოფლიოში პირველმა მიიღო ხელოვნური კაუჩუკი და იმ დროიდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მასობრივი გამოშვება. დიდი გამომგონებელი სასტიკად მოტყუვდა. ჩვენმა ქიმიკოსებმა ბრწყინვალედ გადასჭრეს ეს საკითხი, რომელზედაც ათეული წლების განმავლობაში თავს იტეხდნენ კაპიტალისტური ქვეყნების გამომგონებლები.

მაშინ ჩვენში ქიმიური მრეწველობა მხოლოდ იწყებდა განვითარებას. ამჟამად ჩვენი ქიმიური მრეწველობა დიდი რაოდენობით ამზადებს ხელოვნურ სასუქსა და კაუჩუკს, ბოჭკოსა და საწვავს, პლასტიკურ მასას და სხვადასხვა მარილებს, საღებავებსა და ნედლეულს ფარმაცევტიული მრეწველობისათვის.

ჩვენი მზარდი სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით მოითხოვს სასუქს, რადგანაც ამ უკანასკნელზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მაღალი მოსავლიანობა, ამიტომ ახალ ხუთწლედში ქიმიურ მრეწველობაში ყველაზე სწრაფად სასუქების წარმოება ვითარდება.



* * *

ახალ ხუთწლიან გეგმაში ვკითხულობთ: „უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მოხმარების საგნების წარმოების გადიდების მაღალი ტემპი. გადიდდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება სულ ცოტა 70 პროცენტით“.

მრეწველობის განვითარება და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების გადიდება დიდად შეუწყობს ხელს ბამბეულის,

აბრეშუმის, კვების მრეწველობის აღმავლობას. ასე მაგალითად, 1955 წლისათვის ჩვენი საწარმოები დაამზადებენ 7,5 მილიარდ მეტრ ბამბისა და შალის ქსოვილს, ე. ი. საბჭოთა კავშირის თითოეული მცხოვრები წლიურად 37 მეტრ ქსოვილს მიიღებს. ჩვენი ფაბრიკების მიერ გამოშვებული ქსოვილი რომ გავშალოთ, იგი 50-ჯერ აღემატება მანძილს დედამიწასა და მზეს შორის.



## მსოფლიოს „პურის ბეღელი“

მსოფლიოში მარცვლეულის მთავარ მწარმოებელ ქვეყნად ითვლებიან ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, არგენტინა და ავსტრალია. აღნიშნული ოთხი ქვეყანა წლიურად საშუალოდ 165—170 მილიონ ტონა მარცვლეულს იძლევა, მაგრამ მსოფლიოში მარცვლეულის მთავარ მწარმოებელ ქვეყნად საბჭოთა კავშირი ითვლება. მარტო ჩვენი ქვეყანა გაცილებით მეტ მარცვლეულს იძლევა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, არგენტინა და ავსტრალია ერთად აღებული.

ახალი ხუთწლიანი გეგმით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა იწარმოებს საშუალო მოსავლიანობის გადიდებით, ახალი ჯიშების გამოყვანითა და მიწის ახალი ფართობების ათვისებით. კომუნიზმის დიად მშენებლობათა დამთავრების შემდეგ მორწყული და წყლით უზრუნველყოფილი იქნება დღემდე გამოუყენებელი 28 მილიონი ჰექტარი მიწა, რაც ფართობით აღემატება ინგლისისა და ბელგიის ტერიტორიებს ერთად აღებულს. გარდა ამისა, ფართოდ გაიშლება ჭაობების ამოშრობა, მიწების მორწყვა ახალი სარწყავი სისტემების გაყვანით.

მარცვლეული კულტურების ზრდასთან ერთად გადიდდება იმ კულტურების წარმოება, რომლებიც ჩვენს მრეწველობას ნედლეულს აწვდიან. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ბამბის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა, და ახალ ხუთწლედში იმდენ ბამბას მივიღებთ, რამდენსაც იძლევა მსოფლიოს ბამბის სამი მთავარი მწარმოებელი ქვეყანა—ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი და ეგვიპტე ერთად აღებული. ბამბის ახალი პლანტაციები გაშენდება თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში, სამხრეთ უკრაინაში, ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ასევე პირველ ადგილზეა მსოფლიოში ჩვენი ქვეყანა შაქრის ჭარხლის ფართობითა და შაქრის პროდუქციით. ახალ ხუთწლედში შაქრის ჭარხლის პლანტაციები გაშენდება აგრეთვე ჩრდილო კავკასიასა და მოლდავეთში, ყაზახეთსა და ციმბირში.

ახალი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობისა და მოსავლიანობის შემდგომ ზრდას, მეცხოველეობის განუხრელ აღმავლობას.



## ტრანსპორტი

საბჭოთა კავშირი თავისი ფართობით ყველაზე დიდი ქვეყანაა მთელს მსოფლიოში. აი, ამიტომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება ტრანსპორტის განვითარებას.

ჩვენში, ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა რკინიგზა. „სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, წარმოუდგენელი იქნებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი კლასის სარკინიგზო ტრანსპორტის გარეშე, რომელიც ერთ მთელად აკავშირებს მის მრავალრიცხოვან ოლქებსა და რაიონებს. ამაშია სსრ კავშირის სარკინიგზო ტრანსპორტის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა“ (ი. სტალინი).

ჩვენი რკინიგზების სიგრძე თითქმის სამნახევარჯერ შემოევლება გარს დედამიწას ეკვატორზე. ახალ ხუთწლედში ჩვენი ქვეყანა ორნახევარჯერ მეტ რკინიგზის ახალ ხაზს მიიღებს, ვიდრე გასულ ხუთწლედში. ერთიორად გაუმჯობესდება რკინიგზის ტექნიკური შეიარაღება, გაიზრდება ტვირთბრუნვა და გამტარუნარიანობა, რკინიგზების ელექტროფიკაცია.

ჩვენს ქვეყანას გარს ერტყმის სამი ოკეანე და თორმეტი ზღვა. ამიტომ ჩვენთვის საზღვაო ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ქვეყანას უკვე მოეპოვება საუკეთესო გემთსაშენები, ნავსადგურები, საზღვაო და თევზსაჭერი ფლოტი. ჩვენი ყინულმჭრელი გემების საშუალებით ათვისებულია ჩრდილოეთის გზა და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე მომქმედ სამიმოსვლო გზად იქცა. ჩვენი მეთევზეები თევზს იჭერენ ატლანტისა და წყნარ ოკეანეში, ხოლო ვეშაპებზე სანადიროდ მიემგზავრებიან შორეულ ანტარქტიკის ზღვებში.

საბჭოთა კავშირის სამდინარო გზების სიგრძე 400 ათას კილომეტრს შეადგენს. აქედან 100 ათას კილომეტრზე მეტი სანაოსნოა. სამდინარო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას ხელს შეუწყობს მდინარეთა ათვისება, ახალი სანაოსნო არხების მშენებლობა.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის შემდგომ ზრდასაც.

## ხალხის საკეთილდღეოდ

ახალ გეგმაში გათვალისწინებულია საბჭოთა ყოფა-ცხოვრების ყოველი მხარე: მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობა, კულტურის განვითარება, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღმავლობა, უმაღლესი და საშუალო სკოლების ქსელის გაფართოება, ყველა გვარეობის სპეციალისტების გამოშვების ზრდა.

„მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, — ნათქვამია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში, — განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას და უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან აღმავლობას“.



ახალი ხუთწლიანი გეგმა ერთხელ კიდევ ადასტურებს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

„მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე“.

საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

# საოქტომბრო

## პირველი დროშები

ბავშვებმა ქუჩებში მზისფერი,
ოქტომბრის დროშები გაშალეს!
მე იმ კარგ ბიჭუნებს ვიხსენებ,
მკერდზე რომ იკრავდნენ შაშხანებს...

ისინი სიმღერით მისდევდნენ
ბრძოლებში სამხედრო კომისრებს,
მათ გზები გალიეს დიდებით,
მხნედ გადმოაბიჯეს ომის წლებს.

სჯეროდათ დიდი მზე ამოვა,
და მტერი ამ ქვეყნად ვერ ივლის.
ისინი უსმენდნენ „ავრორას",
მათ სმოლნში იხილეს ლენინი!..

მამების კვალდაკვალ მოქროდნენ,
ყიჟინით ისროდნენ შაშხანებს
და მშობელ რუსეთში ოქტომბრის
პირველი დროშები გაშალეს!

ნაზი კილასონია

## ჩვენი პარტია

გმირულ ბრძოლებით გაიარა წელმა მრავალმა,
ბედნიერება მოგვიტანა ჩვენმა პარტიამ,
ვიბრძვით, ვიმარჯვებთ, წინ მივდივართ მხნედ და თამამად,
დიად სამშობლოს უკვდავების შუქი ატყვია.

დღეს დიდ მოსკოვში შეიყარნენ ჩვენი მამები,—
კომუნისტები—კომუნიზმის ოქრომჭედლები, —
რომ დიდ მომავალს გადახედონ ბრძენის თვალებით,
ამოაშენონ კომუნიზმის დიდი კედლები.

მოსკოვს, დიდ იმედს შეჰყურებენ მილიონები,
სხვა ქვეყნებიდან მშრომელები შემოგვნატრიან;
ლენინის დროშით და სტალინის წინამძღოლობით
დიდი მიზნისკენ მტკიცედ მიდის ჩვენი პარტია.

ნოდარ შამანაძე

## შეხვედრა ტამერფორსში

დარბაზს ავსებდა ბაასი, ბჟობა,
გული უცემდა მგზნებარე ქართველს;
დღეს აქ ილიჩი ხვდებოდა კობას,
დღეს მთის არწივი ხვდებოდა მართვეს.

შეხვდნენ, აღვსილნი ხალხებზე ფიქრით,
ერთმანეთს მუშის ამბები ჰკითხეს,
მათ კომუნიზმის ხელთუქმნელ წიგნში
ერთი ფურცელი ჩაწერეს იმ დღეს.

რომ არ ენახა ცრემლი ჩვენს თვალებს,
აღსდგნენ მონობის დასალეწავად
და ხელი მისცეს ძმურად ერთმანეთს,
რომ მთელ მსოფლიოს ძმობა ესწავლა.

შიშმა შეიპყრო ჩაგვრის სამეფო,
გალაღდა ხალხი ქალაქად, სოფლად,
და უკვდავებად ეყო ტამერფორსს
ორი გენიის მასპინძლად ყოფნა.

ტარიელ ჯანტურია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეო ქიაჩელი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

# გაუგებრობა და შედეგი*

ბებია რუსუდანი სამზადის ფარდულში იჯდა თავის დაბალ, მოგრძო სკამზე და ხელსაქმობდა, საყვარელ შვილიშვილს წინდას უქსოვდა. სახლის დაგვა და დალაგება დილითვე მოეთავებინა, მერე სადილიც დაემზადებინა და ახლა შინაურების სამუშაოდან დაბრუნებას ელოდებოდა, ქსოვითა და ფიქრებით გართული.

ჩვეულებრივად დათო უფრო ადრე მოდიოდა სკოლიდან, ვიდრე მისი მშობლები ჩაის პლანტაციიდან ბრუნდებოდნენ. მაგრამ დღეს დათოს მოსვლის დრო უკვე გადასულიყო და მისი დაგვიანებით შეწუხებული რუსუდანი წამდაუწუმ ჭიშკრისაკენ იცქირებოდა, აბა, როდის გაიღება და დათოს გამოატარებსო.

მაგრამ დათო არ ჩანდა.

დათოს შინ დაბრუნება ქარის მოვარდნას ჰგავდა, ისე ერთბაშად ყურთამდე აღებდა იგი საკმაოდ დიდ ჭიშკრის მთელ ნახევარს. შემოდგამდა ეზოში ფეხს თუ არა, შეუჩერებლივ და უკანმოუხედავად კარს შუასვეტს ისე მიახეთქებდა, რომ მისი ხმა მთელ ეზოში მეხივით გავარდებოდა. ეს ხმა დათოს მოსვლის მაუწყებელ ნიშნად ჰქონდათ მიჩნეული როგორც რუსუდანს, ისე მისი ლოდინისა და მარტოობის მოზიარე მერცხალასა და დათუჩას. სადაც უნდა გაეგონა იგი მერცხალას, ადგილიდან მოწყდებოდა და სიხარულით ფრთებშესხმული საყვარელი მეგობრის შესახვედრად გაიჭრებოდა. დათუჩა კი ამ ბედნიერებას მოკლებული იყო. დათო მას ჯაჭვით ფარდულის სვეტზე მიბმულს სტოვებდა, ვიდრე სკოლიდან დაბრუნდებოდა. ამ პირობაში საბრალო დათუჩას როგორ შეეძლო დათოს ჭიშკართან შეხვედროდა და თავისი სიხარული გაემჟღავნებინა მისთვის. დათომ იცოდა ეს, და ამიტომ იყო რომ მოსვლისთანავე პირველად დათუჩას ჯაჭვს შემოხსნიდა კისერზე და გაათავისუფლებდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაეხვეოდა იგი ბებიას, რომელიც მას „შემოგევლე"-ს ჩიფჩიფით ხელებგაშლილი უცდიდა გულში ჩასაკრავად.

---

* თავი მოთხრობიდან „დაგვიანებული საგზალი".

მერცხალას იმიტომ უხაროდა დათოს დაბრუნება, რომ მთელი გულით, ყოველი პირობის გარეშე უყვარდა იგი. დათუჩას კი იმიტომ უხაროდა დათოს გამოჩენა, რომ მას თავის თავისუფლებას უკავშირებდა. ხოლო დათუჩასაც მთელი გულით უყვარდა დათო. სიყვარული არ არჩევს, თუ ვის გულში და რატომ ჩაისახება. იგი სიხარულს თანაბრად ანიჭებს ყველას, ვისაც კი მისი განცდა შეუძლია. და ვინ იტყვის, რომ დათუჩა მოკლებული იყო ამ განცდის ნიჭიერებას.

დაბალ სკამზე მჯდარი და ხელსაქმით გართული რუსუდანი დღეს დაგვიანებული შვილიშვილის ლოდინს შერიგებოდა, რადგანაც ასე ფიქრობდა:

ამხანაგებს უფროსად ჰყავთ არჩეული, ენაცვალოს ბებია... ალბათ, საქმემ არ გამოუშვა. დიდი კაცი იზრდება ჩემი დათოო!

ამას რომ ფიქრობდა, უაღრესი კმაყოფილება ეხატებოდა დანაოჭებულ, სათუთ პირისახეზე და ჩაფერფლილ თვალებში თავმოწონების შუქი უელვარებდა.

მხოლოდ ის აწუხებდა, რომ დათოს დაგვიანებით გამოწვეული დათუჩას მოუსვენრობა, სვეტის გარშემო წკმუტუნით ტრიალი და ჯაჭვის გაუთავებელი ჩხარუნი ყურადღებას სტაცებდა და საამო ფიქრებს უფრთხობდა. მოთმინება დაკარგოდა მერცხალასაც. ერთ წამში რომ ჭიშკრისაკენ გაიხედავდა, მეორეში რუსუდანისკენ მიბრუნდებოდა და შეუყეფდა, თითქოს ეკითხებაო: რა ამბავია, ამდენი ხანი დათო რომ არ ჩანსო?

მერცხალას და დათუჩას მოუთმენლობა რომ შეენელებინა, რუსუდანმა მათი მოტყუება გადაწყვიტა — უცებ წამოიძახა:

— აბა, მოდის! — და ქსოვა შეწყვიტა. მაგრამ მის ტყუილს, როგორც ყველა ტყუილს, მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

მაშინ თავში აზრმა გაუელვა:

„მოდი, ავუშვებ ამ შეჩვენებულს. სანამ ეზოში მერცხალასთან ერთად გაინავარდებს, ის ბიჭიც მოვა... დაგვიანებას ხომ უნდა მოეღოს ბოლო".

თავის განუყრელ შინდის ჯოხზე დაყრდნობილი წამოდგა. სვეტს მიადგა, რომელზედაც მიბმული იყო დათუჩა. სვეტში ჩარჭობილ რკინაზე ჩამოცმულ ჯაჭვის რგოლს ჯოხი ამკრა და გადმოაგდო. მაგრამ დათუჩა ვერც კი მიხვდა, რომ გაანთავისუფლეს, რაკი მისთვის ჯაჭვი კისერზე არ შეუხსნიათ, როგორც ამას დათო აკეთებდა, როცა აუშვებდა ხოლმე.

— წადით ეზოში! დათოს შეეგებეთ! — უთხრა რუსუდანმა დათუჩას და მერცხალას, ჭიშკრისაკენ თითის გაშვერით.

დათოს სახელის გაგონებაზე მერცხალა მყისვე ჭიშკრისაკენ გავარდა. უიმედოდ, მაგრამ მაინც გაიწია დათუჩამაც მეგობრის დასაწევად. გაუკვირდა, რომ არაფერმა დააკავა. გახარებულმა მოკურცხლა. კისერზე შეკიდებული ჯაჭვი რომ გვერდით აედევნა, ბალახში გაკლაკნილი, გაოცდა და შედგა. მაგრამ ამისი ვერაფერი გაიგო და უყურადღებოდ დატოვა. ისევ გაიქცა.

რა ვერ ნახა ჭიშკართან დათო, მერცხალამ ერთი დაიყეფა გაკვირვების ნიშნად და მაშინვე უკან დაბრუნდა. ამ დროს უკან დადევნებულ დათუჩას შეეჩეხა პირისპირ. აქ მოულოდნელი ამბავი მოხდა. ერთსაც და მეორესაც უცებ დაავიწყდათ დათო და წინასწარ შეთანხმებულივით უკანა ფეხებზე შეიმართნენ. წამიდა ისეთი ღრენით ეძგერნენ ერთმანეთს, თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბნენო. ჭიდილის ეშხმა მალე დათუჩას ღონე შემატა. მაგრამ ეშმაკი მერცხალა ხელიდან დროზე დაუძვრა და მოუსვა, აბა, თუ ვარგხარ, დამეწიეო. აძუნძულდა დათუჩა. მერცხალას რას დაეწეოდა. ჯაჭვიც უშლიდა ხელს. შეეცოდა მერცხალას მეგობარი. დაუცადა. კვლავ შეიბნენ. კვლავ გაიმართა დაუზოგავი ჭიდილი.

როცა დათუჩამ და მერცხალამ ჭიდაობითა და თამაშობით გული მოიჯერეს, დაღლილებმა და ენაგადმოგდებულებმა ისევ ფარდულს მოაშურეს.

დათო კი არ ჩანდა.

რა ნახა რუსუდანმა მისკენ მომავალი დათუჩა, ცოტა არ იყოს შეკრთა. მას არ უნდოდა აშვებულ დათუჩასთან პირისპირ მარტო დარჩენა უდათოოდ. შორიდან დაუცაცხანა.

ეზოში დარჩით! არ გაბედოთ, აქ ნუ მოდიხართო!

მორჩილებას დაჩვეული მერცხალა უმალვე შედგა, სადაც რუსუდანის ხმამ მოუსწრო. დათუჩამ კი ბაჯბაჯით განაგრძო გზა ფარდულისაკენ. სულ ახლოს რომ მოვიდა, რატომღაც შეყოყმანდა და შეჩერდა. ჩრდილში დადგა. მერე უკანა ფეხები მოიყარა, ზედ დაჯდა და რუსუდანს დაუწყო ცქერა. მის თვალებში უცნაურად მოცბიერო და ამავე დროს ვითომ მოაღერსე შუქი გამოკრთოდა. დათუჩა რუსუდანს თითქოს ნიშანს აძლევდა: ახლა შენთან მინდა თამაში და მოვიდე, თუ არაო.

რაკი რუსუდანმა ბრძანება აღარ გაიმეორა, მერცხალამაც აიდგა ფეხი. დათუჩასთან მივიდა და მის გვერდით მოიკალათა, — ისიც უკანა ფეხებზე დასკუპდა და მეგობრის ხათრით რუსუდანს შეაცქერდა.

დათო კიდევ არ ჩანდა.

რუსუდანი ახლა გულში ჯავრობდა, რომ დათოს არ მოუცადა და დათუჩა აუშვა. მაგრამ რამდენი ხანი უნდა დაეგვიანებინა ბოლოსდაბოლოს დათოს? რუსუდანს იმედი არ უწყდებოდა, რომ დათო მალე გამოჩნდებოდა.

რუსუდანს კი არ ეშინოდა მაინცდამაინც დათუჩასი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მისი ნდობა არ ჰქონდა. განსაკუთრებულად იმის შემდეგ, რაც დათუჩამ მას საყვარელი საფუტკრე დაურბია. თუმცა პატარა ტყიურის მოყვანის პირველ დღიდანვე რუსუდანი უკმაყოფილო იყო მისი შინ ყოლით, ,,მხეცს სახლში რა უნდაო", ამბობდა იგი ხშირად. როცა დათუჩა წამოიზარდა და აუცილებელი შეიქნა მისი დაბმა, რუსუდანის დაკვირვებულ თვალებს არ გამოპარვიათ ის გარემოება, რომ დათუჩა ხშირად მხეცურ ჩვევებს ამჟღავნებდა, მიუხედავად იმისა, რომ დათო და მისი მეგობრები მის წვრთნას იყვნენ გადაყოლილები.

უცებ წამოდგა დათუჩა. ვინ იცის რა აზრი მოუვიდა თავში, რომ ჯიქურ ფარდულის ქვეშ შევიდა და რუსუდანის გვერდით მოურიდებლად დაცუცქდა. წამოიწია მერცხალამაც. მაგრამ რუსუდანის რიდით ვერ გაბედა მეგობრისათვის მიებაძნა. ადგილზე დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეშმაკი მერცხალა ხელიდან დროზე დაუძვრა და მოუსვა...

რა უნდა ექნა რუსუდანს? გაწყრომას ისევ სიჩუმე არჩია. მოგონილი გულმოდგინებით, თავაუღებლად განაგრძო თავისი ხელსაქმე. თან ლმობიერი ღიმილი გადაიშალა პირისახეზე, რომ დათუჩას მისი უნდობლობა არ ეგრძნო და მის ფარულ შიშს ვერ მიმხვდარიყო. ქვეშქვეშ, მალიმალ პიშკრისკენ იხედებოდა და გულში ტუქსავდა შვილიშვილს, რომ ის ასე საშინლად იგვიანებდა. თავისი განუყრელი შინდის ჯოხი რომ გვერდით ედო, ეს ერთგვარ იმედად მიაჩნდა. ერთგული მერცხალა რომ ფარდულში არ შემოდიოდა, ეს კი არ მოსწონდა.

მერცხალავ, შემოდი ფარდულში, აქ დადექიო,— უხმო მან მერცხალას და თავის მეორე გვერდით, უფრო ახლოს უჩვენა ადგილი.

მერცხალა მივიდა.

შეშურდა დათუჩას რუსუდანის უპირატესი ყურადღება მერცხალასადმი. არც აცხელა, არც აცივა, ადგა და რუსუდანის მოგრძო სკამზე აცოცდა თავისუფალ მხარეს. ჯაჭვი გვერდზე ეკიდა ქარქაშიდან ამოღებული ხმალივით.

აი, მეც აქ ვარო,—ამბობდა თავისი საქციელით კმაყოფილი დათუჩას თვალების თამაში, მაგრამ უზრდელობა იყო თავისი უცნობი გამომეტყველება. დათვსა და მის მეგობრებთან ცელქობას დაჩვეულ დათუჩას ეგონა, რომ რუსუდანი იმიტომ იღიმებოდა, რომ მასთან სათამაშოდ იყო განწყობილი. ამის საფუძველს კიდევ ის აძლევდა დათუჩას, რომ შემკრთალი რუსუდანი გულისგადასაყოლებლად თავის გამხდარ თითებს და მათში მოქცეულ წინდის ჩხირებს ისეთი თვალშეუსწრები სისწრაფით ამოძრავებდა, რომ მისი ხელის სახსრები სულ წკაპი-წკაპის ხმას გამოსცემდნენ, თითქოს სამხიარულო საცეკვაოს იმღერიანო.

დათუჩამ წინა თათი ნელა ამართა და რუსუდანის მომღერალი თითებისაკენ წაიღო, ვითომ როგორ ხდება, რომ იმღერიანო.

რუსუდანმა ხელები გაარიდა.

— იქით!—მოკლედ წარმოსთქვა, თითქოს წამოცდაო, მაგრამ სახეზე ღიმილის ფარი არ მოუშორებია.

დათუჩამ ახლა ის თათი ფრთხილად, მორიდებით რუსუდანს მუხლზე ჩამოუდო.

რუსუდანმა თათზე ხელი აჰკრა.

მეთამაშებაო,—გაიფიქრა დათუჩამ. გახარებულმა ხელაკრული თათი ახლა უფრო თამამად ჩამოდო მუხლზე. რუსუდანმა ხელახალი აკვრით მოიცილა თათი.

ასე კი არა, აი, ასე უნდა თამაშიო,—იფიქრა დათუჩამ და გვერდიდან ეძგერა რუსუდანს, როგორც მერცხალასთან ჭიდილის დროს ჩვეოდა ხოლმე.

— მიშველეთ!—ძლივს მოასწრო დაყვირება რუსუდანმა და ფარდულის გამხმარ მიწის იატაკზე გაიშხლართა.

მერცხალა ვერ მიხვდა, რა მოხდა. თამაშობა ასე რატომ ეწყინაო ბებია რუსუდანს. მაგრამ რა გაიგონა მისი შეჭირვებული ყვირილი, ყეფით მივარდა დათუჩას, გეყოფა, მოშორდიო. მეგობრის ჩარევა დათუჩამ ისე გაიგო, თითქოს მერცხალა რუსუდანთან თამაშობაში ეცილებოდა. შესაშინებლად შეუღრინა, ვითომ მე ვთამაშობ და არ დაგითმობო. წაქცეულ რუსუდანს ზემოდან მოექცა ბურდღუნით, თითქოს მერცხალა ყოლოდა წაქცეული—ხომ გაჯობე და ახლა დამმორჩილდიო.

რუსუდანს ხელები აეფარებინა პირისახეზე და, რაც ღონე შესწევდა, გაჰკიოდა:

— მიშველეთ!

ვინ იცის რით გათავდებოდა ეს გაუგებრობა და ვინ იცის როდის გაუნელდებოდა დათუჩას, თამაშობის ხალისი როდის გაუნელდებოდა დათუჩას, ფარრომ დათოს არ მოესწრო სამწუხარო ამბისთვის. ფარ-

— ძალიან თუ ვარ დაკბენილი, შვილო?—ეკითხებოდა კრუსუნით და მილეული ხმით რუსუდანი დათოს.

— არა, ბები, სულ არა ხარ დაკბენილი... მაგრამ ვინ აუშვა დათუჩა? მე ხომ დღესაც დაბმული დავტოვე, როგორც ყოველთვის?—ამბობდა დათო, სანამ რუსუდანის წამოყენებას ცდილობდა.

— რატომ სულ მთლად არ შემახმება ეს ხელები, შვილო, მე ავუშვი ის წყეული, ვითომ იმ დროს, როცა შენ უნდა დაბრუნებულიყავი. შემეცოდა, მთელი დღე რომება. ღირსი ვარ, რაცა მჭირს! მე რომ შემეცოდა, განა იმან კი შემიცოდა? ნუ დამანახებ მაგ შეჩვენებულს, ახლოს ნუ გამაკარებ... უკეთესი იქნება თუ აქედან სულ წამიყვან... გაიქეცი და დარია მომიყვანე! უთხარი, რომ აქ დათუჩაზე გამცვალეს... თავის სახლში წამიყვანოს! აქ აღარ მეცხოვრება! ან მე, ან ის ეშმაკის კერძი!

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა ბები, ოღონდ დაწყნარდი... იქნება, გეთამაშებოდა დათუჩა, ბები, თამაშობას რომ დაჩვეულია, თორემ ახვას რას გაგიბედავდა! დაკბენილიც არ ხარ, სისხლიც არსად გდის... შენ, ალბათ, შეგეშინდა!—ასე ამშვიდებდა ბებიას დათო და ცდილობდა მკლავები ფრთხილად შემოეწყო მისთვის მხრებსა და წელზე, რომ წამოეყენებინა.

ბებია რუსუდანისთვის შვილიშვილის სიტყვებსა და ალერსს გული აეჩუყებინა. ლაპალუპით ღვრიდა ცრემლს ატირებული.

— ორიოდე დღის სიცოცხლე დამრჩენია, გენაცვალოს ბებია... რაღა მხეცს გინდა შეაჭამო ჩემი თავი... წადი, გეხვეწები, დარია მომიყვანე, ისიც ჩემი შვილია, თავის სახლში წამიყვანოს. მომივლის... მერე მამაშენმა და შენ მთელი ეს სახლი სულ სამხეცედ გადააქციეთ, თუ ასე გინდათ. არავინ გეყოლებათ ხელის შემშლელი... რაკი დათვი გიყვართ და მე არა, არც მე მიყვარხართ!.. წამიყვანეთ აქედან. არ მინდა წამოდგომა... ხელი გამიშვი, აქ უნდა დამინახოს მამაშენმა, დათვის დაგლეჯილი და დაკბენილი! მანამდე შედი, შვილო, შინ, სადილი ჭამე, მოშივებული იქნები... ყველაფერი მზად არის... მოდა, მერე დარია მომიყვანე... აქ ყოფნა არ მინდა.

ასე მოთქვამდა და ჰირვეულობდა ბებია რუსუდანი, როცა პლანტაციიდან დაბრუნებული მაია და იასონი ეზოში შემოვიდნენ. მოჰკრა თუ არა მათ თვალი აქამდე დამნაშავესავით უხმოდ განზე მდგარმა მერცხალამ, მყისვე ჰიშკრისკენ მოჰკურცხლა.

იასონს გაუკვირდა, რომ მერცხალასთან დათუჩა არ იყო.

— დათუჩა სად არის?—ჰკითხა თავის ერთგულ ძაღლს.

დათუჩას სახელის გაგონებაზე მერცხალა სწრაფად მიტრიალდა სამზადის სახლისაკენ. რამდენჯერმე დაიყეფა და ისევ იასონისაკენ მიბრუნდა. მერე კვლავ სამზადისაკენ მიიქცა და უცნაური ტრიალ-ტრიალით წინ გაუძღვა ცოლ-ქმარს.

— რაღაცა ამბავია ჩვენს სახლში, მაია, ისე ტრიალებს ეს ძაღლი!—თქვა იასონმა.

— დათუჩა დაბმულია, შე კაცო, ვერ ამჩნევ? ალბათ, დათო ჯერ კიდევ არ მოსულა.

— მე კი დათოსაც ვხედავ, მგონია. მაგრამ თუ მოსულია, ბელი რატომ არ აუშვია!—თავის გაკვირვებას გამოსთქვამდა იასონი. შვილს შორიდანვე გასძახა:

— დათო, დათუჩა რატომ გიბია, როცა შინ ხარ?

ცოლ-ქმარმა ნაბიჯს აუჩქარეს.

— არ მინდა, აქ ნუ მოდიან!—დაიწყო ისევ წუწუნი რუსუდანმა, როცა შვილისა და რძლის ხმას ყური მოჰკრა.—ხომ გესმის, მამაშენი დათუჩაზე უფრო სწუხს და იმას მოიკითხავს, მე კი სულაც არ ვაგონდები! არ მინდა! დარიასთან წამიყვანე, გევედრები, შემოგევლოს ბებია!

მერცხალა მაიას და იასონს ფარდულში შემოუძღვა.

ელდა ეცა ცოლ-ქმარს, როცა მიწაზე გართხმული და ბავშვივით გულამოსკვნით მტირალი რუსუდანი დაინახეს.

— რა ამბავია? რა მოხდა?—იკითხა პირველად იასონმა.

გულშემოყრილი მაია მივარდა რუსუდანს.

— რა მოგივიდა, დედა რატომ სტირი, ან იატაკზე რატომ წევხარ? ვინ გაწყენინა?—შეიცხადა მაიამ, რომელსაც დათომ თავისი ადგილი დაუთმო ბებიასთან.

— რა მოხდა, დათო? რატომ არ ამბობ?—მკაცრად ჰკითხა შვილს იასონმა.

დათომაც დანამდვილებით არ იცოდა, რა მოხდა და ამიტომ დუმდა. მით უმეტეს, რომ მამისთვის თავისი ეჭვის გაზიარება არ უნდოდა ბებია რუსუდანის თანდასწრებით,—იცოდა, რომ ეწყინებოდა.

ბოლოს თვითონ რუსუდანმა ამოიღო ხმა.

* *
*

მეზობლებში ხმა გავარდა, ბებია რუსუდანი დათვმა დაგლიჯაო. ხმა მალე მთელ კოლმეურნეობას მოედო. რაც უფრო ვრცელდებოდა იგი, მით უფრო გაზვიადებული და საშინელი ხდებოდა. შორს მოსახლე მაშენელებს არც კი ეგონათ, რომ რუსუდანი ცოცხალი გადარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა ნახა რუსუდანმა მისკენ მომავალი დათუჩა, ცოტა არ იყოს შეკრთა...

ქალი და კაცი იასონის სახლისაკენ გამოეშურა. პიონერი გოგო-ბიჭები დათოსთან გამორბოდნენ. არავინ იყო სოფლად ისეთი, რომ ბებია რუსუდანი არ ყვარებოდა.

ყველაზე ადრე მოვიდნენ იასონის რგოლის წევრები, საყვარელი ოჯახისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ბოლოს თვითონ ბრიგადირიც გამოცხადდა,—სამამულო ომის გამოჩენილი გმირი, მრავალგზის ორდენოსანი, ბეგლარ რახარაძე, მიჩურინელი, რომელიც ჩვენებური წვრილი ხურმის ახალი ჯიშის გამოყვანაზე მუშაობდა წარმატებით. როცა მან მომხდარი ამბის ვითარება გაიგო, რუსუდანის მერე დათუჩას ნახვა ისურვა. შემდეგ დათოსა და მის მეგობრებს თავისთან უხმო და ასე მიმართა მათ:

— ეს რა ამბავია, მეგობრებო? დათუჩა უკვე გაზრდილა და თქვენ კი იგი ჯერ კიდევ სახლში გყავთ! ეს როგორ იქნება! მართალია ჩვენ, კომუნისტებმა, საზოგადოება რომ გარდავქმენით, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ—ბუნებაც უნდა გარდავქმნათ! მაგრამ დათვისა და მისთანა მხეცების გარდაქმნას საუკუნეები უნდა, ამხანაგებო! ეს ხომ ჩემი ხურმა არ არის, რომ რამდენიმე წელიწადში ნაყოფი გამოიღოს! ოჯახურ პირობებში დათუჩაზე ცდების წარმოება ნამდვილად სახიფათოა, თუ არა ამის მაგალითი ბებია რუსუდანია! მოდით, ეს თქვენი საქმე ამიერიდან ჩვენს სპეციალისტებს დავუთმოთ, ცდები ჩვენი დედაქალაქის ზოოპარკში გადავიტანოთ, სადაც ჩვენი მეცნიერები თქვენს მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობენ. ხვალვე მისწერეთ ზოოპარკის დირექტორს, რომ თქვენ მიუძღვნით საბჭოთა მეცნიერებს თქვენს დათუჩას, და სთხოვეთ, გამოგზავნოს თანამშრომელი მის აქედან წასაყვანად და ზოოპარკში მოსათავსებლად...

აქ ბრიგადირი უცებ მიუბრუნდა იქვე მდგარ იასონს და სხვა რგოლელებს და ჰკითხა:

— მართალი ვარ თუ არა, ამხანაგებო? თქვენ რას იტყვით?

კოლმეურნეებმა ერთხმად მოუწონეს აზრი. ამხანაგი ბეგლარი ამის შემდეგ ისევ დათოს და მის მეგობრებს მიუბრუნდა:

— ახლა თქვენ რას იტყვით, ყმაწვილებო, თქვენი დათუჩას ზოოპარკში გადასახლების შესახებ?

დათო, რეზო და თენგიზი პიონერული წესით გამოჭიმულიყვნენ უფროსების წინაშე. ხმა კი ვერ ამოეღოთ, რადგანაც, თუმცა მიჩურინელი ბრიგადირის წინადადების სიმართლეს გრძნობდნენ, მაგრამ იმდენად მოულოდნელი იყო იგი მათთვის, რომ მოაზრებისათვის დრო სჭიროდათ. ესეც არ იყოს, ასე უცბად, ერთბაშად დათუჩას ვერ შელეოდნენ, რომელთანაც თითქმის მთელი წელიწადი მეგობრობდნენ.

ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასწავლებელი

## ორი სურათი

1

სარკმლიდან მოჩანს მწვანე ქედები,
ლურჯი მთები გაბადრულები,
ლამაზ მერხებზე, როგორც მტრედები,
სხედან ბავშვები განაბულები.

სწავლობენ ქვეყნის ოთხივე მხარეს,
ყველაფერს წვდება გონების თვალი,
მასწავლებლის ხმა გაისმის მხოლოდ,
სიმართლით სავსე და მზით გამთბარი.

რამდენი კარგი რამე ისწავლეს...
სხედან, უსმენენ ოქროპირს ლაღად—
სამგორს როგორ რთავს ხეთა სიმწვანე,
უდაბნო როგორ იქცევა ბაღად.

თითქოს უსმენენ ქარხნების გუგუნს,
თითქოს უსმენენ ყანების შრიალს...
სხედან მერხებზე განაბულები
და ულიმიან მომავალს მზიანს.

2

ბავშვებს შემოყვათ სიცივე დილის,
მორიდებული ხმაური ნელი,
კლასში შემოდის ნაჩვევი ყვირილს
ამერიკელი მასწავლებელი.

მივა დაფასთან — ატომებს ხატავს...
ის ყველაფერზე ყოველთვის მწყრალი.
ბავშვების გულში იბუდებს ნატვრა:
— ო, ნეტავ როდის იქნება ზარი.

სხედან, სწავლობენ — რა არის ომი...
ფიქრობენ: ,,ომი რად გვინდა ნეტავ,
რად გვინდა, რომ ამ ერთი ატომით
ათი ქალაქი აფეთქდეს ერთად".

უსმენენ. შიშით დიდდება თვალი,
ქუჩებში ქარი ქრის თავაშვებით,
და ესიზმრებათ შემკრთალებს ღამით,
თვალებდათხრილი მკვდარი ბავშვები.

ოთარ ჭილაძე

## რამ დამავიწყოს

ჭაღარა თმები, თვალები მკაცრი,
მოხრილი მხრები, მოხუცის ხველა.
ქუჩაში მიდის მაღალი კაცი
და მოკრძალებით გზას უთმობს ყველა.

ორმოცდაათი წელია იგი
ამ გზაზე მიდის...
მიდის და ფიქრობს.
აკაციების მაღალი რიგი
სკოლის კარამდე აცილებს თითქოს.

*

რამ დამავიწყოს სკოლის დღეები,
როგორ არ მედგას ყოველთვის თვალწინ
ჭაღარა კაცი სათვალეებით,
სულგანაბული მეშვიდე კლასი.
ჩემ სიცოცხლეში რამ დამავიწყოს,
გულში მექნება უწმინდეს განძად,
ის, რაც კეთილი გულით დანერგა
იმ საყვარელმა ჭაღარა კაცმა.

*

ჩვენ დავვაჟკაცდით, მერხი დავტოვეთ,
შორს დარჩა სკოლის თეთრი კედლები,
მაგრამ ვიცით, რომ ჩვენზე ფიქრობენ
სკოლა და ჩვენი მასწავლებლები.

ბეჟან ბარდაველიძე

## ყველას ვეტყოდი...

მაგ თმაში ვერცხლის და ოქროს ფერი
შენ გიანდერძა განვლილმა წლებმა...
მე მახსოვს შენი სიტყვები წრფელი
და არასოდეს დამავიწყდება.

მე ახლაც ისევ შენს რჩევას ვისმენ,
შენი ხმის კილოც ჩამესმის თითქოს...
კეთილი კაცი თუ ეთქმის ვისმე,
ეს შენზე ითქმის, მე ასე ვფიქრობ.

არვის ამაღლი შენს ძვირფას ამაგს
და საქმისადმი ხალისიც მოგდევს...
მიყვარხარ, როგორც მშობელი მამა,
ყველას ვეტყოდი შენს ამბავს, მაგრამ
საჭირო არის ჩემი თქმა განა?
შენს მკერდზე ვხედავ ლენინის ორდენს.

ნოდარ ნარსია

ეროვნული ბიბლიოთეკა



აივაზოვსკის სურათის „მეცხრე ტალღა“-ს ფოტორეპროდუქცია.

ვ. ხუხაშვილი

ნახატები კ. მახარაძისა

# ზღვის სიყვარული

## მოთხრობა

ლამაზია ყირიმი, ლამაზია ზღვის პირას მწვანეში ჩაფლული ქალაქი ფეოდოსია. სანაპირო ქუჩაზე მომხიბლავად გამოიყურებიან სანატორიუმების თეთრი სახლები, შრიალებენ კვიპაროსები, ცაცხვები...

აქ ისვენებენ ათასობით საბჭოთა ადამიანები. ქალაქის მთავარი ქუჩა რკალად შემორტყმია ლურჯად გადაშლილ ზღვას. აქ გამვლელს უნებურად შეაჩერებს ქუჩის მარცხენა მხარეს პატარა სკვერში ჩადგმული გრანიტის ძეგლი. ეს ცნობილი რუსი მხატვრის აივაზოვსკის ძეგლია. ძეგლის გვერდით თეთრი მარმარილოს ობელისკია აღმართული, ზედ აწერია: «კაპიტანი ნიკოლოზ ვასილის-ძე სემუშკინი, დაიღუპა 1942 წელს სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში». ქვაში კაპიტნის სურათია ჩასმული, რომლის ქვემოთ დაფნის ტოტია გამოჩუქურთმებული. ძეგლს უკან ლამაზი ვარდისფერი შენობა დგას. ეს აივაზოვსკის გალერეაა. გამოფენის შესასვლელში მნახველის თვალს იტაცებს ახალგაზრდა მხატვრის თემურ გოცირიძის მიერ შესრულებული სურათი «ზღვის სიყვარული».

სურათზე სამხატვრო გალერეის მიდამოა დახატული. მეზღვაურთა დესანტს ხელჩართული ბრძოლა გაუმართავს ფაშისტებთან და ზღვაზე გაჩერებული გემისაკენ ნავებით გააქვთ ჩარჩოებში ჩასმული სურათები. წინა პლანზე დახატული მეზღვაური, რომელსაც გემისკენ გაუშვერია ხელი და სახეზე დაძაბულობა აღბეჭდია, საოცრად გავს კაპიტან სემუშკინს. რა კავშირშია ერთმანეთთან აივაზოვსკის გალერეა, გმირულად დაღუპული კაპიტნის საფლავი და ახალგაზრდა მხატვრის სურათი «ზღვის სიყვარული»? ამაზე მღელვარებით უამბობს გალერეაში მოსულთ აქვე მომუშავე თმაჭაღარა ქალი ანასტასია პეტრეს ასული. მე მინდა მისინაამბობი გადმოგცეთ.

* * *

1942 წლის მრისხანე გაზაფხული იდგა.

სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ უტევდნენ ფაშისტები ფეოდოსიას. მთავარ ქუჩაზე, ზღვის სანაპიროს რომ გასდევდა, თითქმის არცერთი სახლი არ დარჩენილა მთელი.

კვამლში იყო გახვეული ნავსადგური, სანაპიროს ქუჩა უზარმაზარ ბარიკადს დაემსგავსა. თვალებდათხრილივით გამოიყურებოდნენ ფანჯრებჩალეწილი შენობები. დრო-დადრო გაისმოდა გუგუნი და მიზანს აცდენილი ყუმბარები ზღვაში აიჭრებოდნენ ხოლმე უზარმაზარ თეთრ სვეტებად.

სამი დღის განმავლობაში გარეთ არ გასულა თემური. ან სად უნდა წასულიყო?... საბედნიეროდ მათი სახლი მიშორებული იყო ნავსადგურს, რომელიც ვულკანის კრატერივით ბოლავდა დღედაღამ. სამი დღეა მისი მეგობარი გენკაც არ გამოჩენილა. ალბათ თავშესაფარში ათენებდა ღამეებს. «განსაცდელსაც შეჩვევა სცოდნია»—ფიქრობდა თემური და უკვე აღარ აკრთობდა ყუმბარის შემაზრზენი გრიალი. დიდი ხანია მისი ოთახის ფანჯრებს მინები ჩაელეწა.

ანასტასია პეტრეს ასული დილიდან საღამომდე სამხატვრო გალერეაში არის. ნაშუაღამევს გადაიკიდებს ზურგჩანთას, ჩაიცვამს მეუღლის შავ პალტოს და სამორიგეოდ მიდის. როგორ გამოიცვალა დედა! იგი არ ტირის ხოლმე, მაგრამ თემური ამჩნევს, როგორ მოემატა ჭაღარა თმებში.

თემურმა გარეთ გაიხედა. ზღვაზე კვლავ კვამლი გაწოლილიყო: სანაპირო ქუჩის თხრილებიდან დროდადრო გაიელვებდა საზენიტო ქვემეხთა ცეცხლის ენები. ქუჩაში დროდადრო ჩაივლიდნენ წითელი არმიის ნაწილები. ქერჩისკენ იხევდნენ. ნავსადგურში რამდენიმე კატარღის გარდა არცერთი დიდი გემი არ იდგა. «ალბათ ქალაქის ევაკუაცია ხდება, ნეტავ სად არის ახლა მამა?»—ფიქრობდა თემური.

კაპიტანი ვახტანგ გოცირიძე სწორედ ამ დროს საესკადრო ნაღმოსანზე იყო, რომელიც ქერჩის ნავსადგურს უახლოვდებოდა; თემურს ბავშვობის ადრეული წლები გაახსენდა. მოაგონდა ბათუმი, შემდეგ სევასტოპოლში გადავიდნენ, 1939 წლიდან კი, აქ, ფეოდოსიაში... რამდენს უამბობდა მამა ადმირალ ნახიმოვზე, ცუსიმის, სევასტოპოლის, პორტარტურის ბრძოლებზე... როდესაც მამა შვებულებაში იყო, მთელი ყირიმი ანახა დედას და თემურს. იყვნენ იალტაში, ალუშტაში, პუშკინის კონცხზე, აიპეტრის მთაზე, სიმფეროპოლში... რა სიდიადითაა ყირიმის სილამაზე ასახული აივაზოვსკის სურათებში. თემურიც ოცნებობს მხატვარი გამოვიდეს, ხატოს ზღვა, სიცოცხლე...

ყუმბარა სულ ახლოს გასკდა; ფეხქვეშ იატაკი ისე შეირყა, თითქოს ზღვის ტალღებმა გემი შეატოკესო. ნანგრევებთან გამოჩნდნენ ცეცხლის ენები. იწვოდა კინოთეატრი. იმის იქით კი გარკვევით ჩანდა თემურის საყვარელი სკოლის დანგრეული შენობა, ქუჩის კიდესთან აკაციის ძირში ეგდო რამდენიმე მერხი და საკლასო დაფა, რომელზედაც გარკვევით მოჩანდა ცარცით დაწერილი ციფრები...

ქვევით ვიღაცამ კარი გააღო.

«დედაა»—გაიფიქრა თემურმა და კიბეზე დაეშვა. ანასტასია პეტრეს ასული ძალზე შეშფოთებული იყო, უეცრად მიიზიდა თემური და მკერდში ჩაიკრა.

დაღამდა. დროდადრო ცაში შადრევანივით აიჭრებოდა მწვანე ან წითელი მაშხალა. ნავსადგურში სიგნალებს იძლეოდნენ. სროლის ხმა სულ ახლოს გაისმა, ანასტასია პეტრეს ასულმა ძალით დააწვინა თემური იატაკზე. ტყვიამ ფანჯარაზე ასხლეტილი მზის სხივივით გაჭრა სიბნელე, ოთახში ხმაურით დავარდა რაღაც. ფანჯრიდან შემოჭრილ ელვისებურ სინათლეზე თემურმა გარკვევით გაარჩია აივაზოვსკის ცნობილი სურათის «მეცხრე ტალღას» მის მიერ შესრულებული რეპროდუქცია, რომელიც მამამ ჩასვა ოქროსფერ ჩარჩოში და დაკიდა. მარჯვნივ ორი სურათია აივაზოვსკისა, პირდაპირ ფანჯრის გვერდით. იქ, სადაც რადიომიმღები იდგა, სამი ტილოა: «იზმაილის აღება», «პუშკინი ზღვასთან» და «გურზუფი ღამით». ისინი დედამ გადახატა ორიგინალებიდან. მაგი-



— ხელი გამიშვით, მხეცებო...

დაზე ლევიტანის სურათების ალბომია, რომელიც მამამ ჩამოიტანა ლენინგრადიდან.

სიბნელე თანდათან გამუქდა. დედა-შვილს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ოთახში კი არა, დასაღუპად განწირული ხომალდის კაიუტაში იმყოფებოდნენ.

მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავთ.

განთიადისას ანასტასია პეტრეს ასულმა გარკვევით გაიგონა ტანკების მუხლუხების ხმაური და მოტოციკლების ტკრციალი, რომელსაც ერთვოდა გაურკვეველი ღრიანცელი.

— ფაშისტები!—წაიჩურჩულა მან, და თემურმა ბნელშიც კი შენიშნა, როგორ მოკუმა დედამ ტუჩები სიბრაზისაგან და კიდევ უფრო გაფითრდა.



ნავსადგურში უკვე იდგა ფაშისტთა გემი. ქუჩაში ფაშისტ ჯარისკაცთა გარდა არავინ ჩანდა. რამდენიმე მათგანი უკვე ზღვაზე ბანაობდა. დიდი, მომწვანო შენობის პირდაპირ, სადაც უწინ ბავშვთა სანატორიუმი იყო, ახლა ფაშისტთა გარნიზონის შტაბი მოთავსებულიყო.

დედამ თავშალი შემოიხვია.

— მე გალერეაში მივდივარ, შვილო,—აჩქარებით უთხრა თემურს.—იქ ჩვენი ქვეყნის საუნჯეა,—აივაზოვსკის სურათები ფაშისტებისათვის ძვირფასი ნადავლია, რამე უნდა ვიღონოთ. აბა შენ იცი. გარეთ არ გახვიდე. მეც მალე დავბრუნდები.

თემური ოთახში მარტო დარჩა.

იგი საოცარმა სურვილმა შეიპყრო: გასულიყო ქალაქში და გაეგო, რა ხდებოდა იქ. უცბად ხმაური მოესმა. ფანჯრისკენ მიიხედა, ცისფრად შეღებილ რაფაზე ჯერ რვა თითი დაეწყო, შემდეგ ქერა ბიჭუნას თავი გამოჩნდა.

— თემურ, სახლში ხარ?—ჩურჩული ნიავივით გაისმა ოთახში. თემურმა თვალები დააჭყიტა.

— გენკა, საიდან?—წამოიძახა მან და მეგობარს ფანჯარაზე ამოსვლაში მიეშველა. გენკას ჭრელი თვალები უცნაურად უელვარებდა, როგორც ეს ბნელში დიდხანს ნამყოფ ადამიანებს აქვთ ხოლმე.

— სად დაიკარგე?—ისევ შეეკითხა თემური მეგობარს.

— ნავსადგურში ვიყავი. იცი, იქ რა ხდება? გერმანელების ორი გემი ჩასძირეს ჩვენებმა, ბაქანი ააფეთქეს წუხელ. ახლა ფაშისტები დაძრწიან მთელს ქალაქში. თავშესაფრიდან ხალხი გამორეკეს და დახვრეტით დაემუქრნენ ყველას, ვინც პორტის სამუშაოებზე უარს იტყვის. ერთი მაგათი ჯავრი ამომაყრევინა!—გენკამ ხელები დამუშტა და დიდი ადამიანივით სერიოზულად გასწორდა სკამზე.—წუხელ ძია კოლია ვნახე. კატარღა გავიდა ზღვაში. ვეხვეწე, არ წამიყვანა, მალე დავბრუნდებითო. მერე მეზღვაურთა ბაღში ესტრადის სახურავიდან ვხედავდი ყველაფერს, რაც მოხდა. ღამეც იქ გავათიე. და აი ახლა აქ ვარ.



— საით წავიდა ძია კოლია?—იკითხა თემურმა.

— მგონი ქერჩის მიმართულებით.

— მამაჩემის არაფერი იცის?

— არა. — ყრუდ უპასუხა გენკამ და თვალები მოარიდა მეგობარს.

— დედაშენი სად არის?—ახლა გენკამ იკითხა ხმადაბლა.

— გალერეაშია, შესაძლოა გერმანელებმა აივაზოვსკის სურათები ნადავლი'ს სახით დაისაკუთრონო. იქ წავიდა.

— მე პარკიდან დავინახე, ფაშისტები ირეოდნენ გალერეის წინ.

— მართლა?

— მართლა!

— ნუთუ მართლა გაძარცვავენ?

— არ იცი ფაშისტების ამბავი? ისინი მკვდრებს ოქროს კბილს არ უტოვებენ და აივაზოვსკის სურათებს ხელიდან გაუშვებენ?

თემური ღრმად ჩაფიქრდა. მის თვალწინ ერთი წუთით აღდგა მშვიდობიანი დღეები: ხშირად მისულა დედასთან გალერეაში; უნახავს, როგორ მოდიოდნენ აივაზოვსკის სურათების სანახავად მეფოლადეები, მეზღვაურები, პროფესორები, წითელი არმიის მებრძოლები; ათვალიერებდნენ მას მოსკოველი პიონერები და ბალტიელი მეზღვაურები, თბილისიდან ჩამოსული დამსვენებლები თუ შორეული აღმოსავლეთის მცხოვრებნი. ახლა ისინი ალბათ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე არიან ჩასანგრებულნი. მრისხანე და სასტიკნი იბრძვიან მომავლისათვის, სამშობლოს თავისუფლებისათვის და... აივაზოვსკის სურათებისათვისაც...

— წავიდეთ!—უცებ მოჭრა თემურმა.

— საით?—ანგარიშმიუცემლად შეეკითხა გენკა.

— გალერეისაკენ!—თემურის ხმაში ისეთი გადაწყვეტილება გაისმა, რომ გენკამ ვეღარ გაბედა შეკითხვის მიცემა. იგი მუდამ ემორჩილებოდა თემურს. ფანჯრიდან ბაღში გადაცოცდნენ. გაიარეს მაღალი კვიპაროსების ქვეშ.

— ნავსადგურისაკენ გზა შეკრულია, იქ მცველები დგანან, უმჯობესია ჩვენი სკოლის მხრიდან მოვუაროთ. იქიდან იოლად გავალთ სანაპირო ქუჩაზე,—წასჩურჩულა გენკამ თემურს. თემური უსიტყვოდ დაეთანხმა. წელში მოხრილები გაიქცნენ მარჯვნივ. სკოლის შენობის ნანგრევებს გვერდით ჩაუარეს. ამ გზით ხშირად დადიოდნენ მეგობრები ზღვაზე საბანაოდ, ან თევზების საჭერად. აგერ გალერეაც...

ერთსართულიანი ღიავარდისფერი შენობის წინ უვნებლად იდგა აივაზოვსკის ძეგლი გრანიტისაგან გამოკვეთილი. ჩაფიქრებული მოხუცი სავარძელში იჯდა და გაჰყურებდა ჰორიზონტს, თითქოს მომავლისაკენ იხედებოდა.

გალერეაში შესასვლელი კარი ღია იყო. იქით-აქეთ ავტომატმომარჯვებული ფაშისტი ჯარისკაცები ქანდაკებებივით იდგნენ. ტყავის პალტოიანი უნტეროფიცერი კმაყოფილი სახით იჯდა კიბის მოაჯირზე და უაზროდ დაჰყურებდა დამსხვრეულ ყვავილებიან ქოთანს. თემურს ტანში გააჟრჟოლა, როდესაც ჭრელთვალება, აყლაყუდა ეფრეიტორმა თითქმის ძალით გამოათრია კარებში ანასტასია პეტრეს ასული.

— ხელი გამიშვით, მხეცებო, ცოცხალი თავით არ დაგანებებთ,—გაჰკიოდა დედა და გალერეისაკენ მიიწევდა. ჯარისკაცები მას უკან აგდებდნენ. სასოწარკვეთილმა ქალმა ტირილი დაიწყო. მონოკლიანი უნტეროფიცერი მოკლე ჯოხით შეეხო მას და დამცინავი ღიმილით, დამტვრეული რუსულით უთხრა:

— თქვენ, რუსები არ იცით სურათების მოვლა. ჩვენ უკეთ შევინახავთ აივაზოვსკის ნახატები. გარდა ამისა შენობის ჭერი დაინგრა. ნუ ცხარობთ, მადამ...

ანასტასია პეტრეს ასულს სიძულვილი გამოეხატა სახეზე და თავი ძლივს შეიკავა, რომ არ შეეფურთხებინა ამ ფაშისტი ტიკინასათვის, რომელსაც ცივილიზაციის მხსნელად მოჰქონდა თავი. ვინ იცის, იქნებ ეს ოფიცერი უკვე ხედავდა ამერიკელი კომისიონერების დოლარებს, რომელსაც ათასობით გაიღებდნენ კულტურის ძეგლებით მოვაჭრენი აივაზოვსკის გენიალური ქმნილებებისათვის.

— აივაზოვსკი რუს ხალხს ეკუთვნის და იგი არ დაგანებებთ მას!—მკაცრად მიახალა ფაშისტს ანასტასია პეტრეს ასულმა და ამაყად გაიმართა წელში...

გენკა ძლივს აკავებდა თემურს. იგი მთლად გაფითრებულიყო და ქვედა ტუჩს წამდაუწუმ იკვნეტდა.

— რა ვქნათ, გენკა?

— არ ვიცი.—გენკამ უმწეოდ გაშალა ხელები.

— ჩვენებს უნდა შევატყობინოთ როგორმე, გესმის გენკა!

მთელი დღე ნანგრევებში დაეხეტებოდნენ მეგობრები, მაგრამ ვერ იქნა, მტრის გუშაგებს ხელიდან ვერ გაუსხლტნენ, ვერ გავიდნენ ქალაქიდან. ერთხელ კინაღამ ხელში ჩაუვარდნენ ნავსადგურთან მდგარ პატრულებს.

ჩამოღამდა. შორს, ზღვისა და ცის დასასრულთან მუქი ღრუბლების ტყე წამოიშალა. აჭრელებულ ცაზე აკიაფდნენ ვარსკვლავები. ზღვა შაბიამანის ფერი გამხდარიყო, დაწყნარებულიყო. ქალაქი ბნელში გაეხვია. დროდადრო სიბნელეში გერმანელთა ხელის ფანრები თუ გაელვებდნენ მხოლოდ. ფეოდოსიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ბრძოლა გრძელდებოდა.



— გენკა, ვიჩქაროთ...

— გენკა!—უცებ თვალები გაუბრწყინდა თემურს.

— რა იყო?

— გახსოვს ბაბუა გერასიმის ნავი?

— მახსოვს, ქალაქის ბოლოშია. მერე?

— რას იტყვი, იმ ნავით რომ გავექცეთ ფაშისტებს ქერჩისაკენ?

გენკამ კინაღამ შეჰყვირა.

მეგობრები სიბნელეში გაუჩინარდნენ.

პარკთან ახლოს გაიარეს. მაღალი ხეების ჩრდილში, მოედანზე, სადაც ცეკვები იმართებოდა ხოლმე, ფაშისტთა საზენიტო ქვემეხები იდგა. იქვე ჯარისკაცები ლაზღანდარობდნენ. კაფედან მთვრალი ოფიცრების ღრიანცელი მოისმოდა. ეტყობოდა ქეიფობდნენ.

— ჩამწარდებათ!..—ჩაილაპარაკა თემურმა. მეგობრებმა ბაღი გადაჭრეს და ნავსადგურიდან მომავალ ვიწრო ქუჩას გაჰყვნენ.

ბაბუა გერასიმს ფეოდოსიაში ყველა ბავშვი იცნობდა. მხიარულ და გულთბილ მოხუცთან თამბაქო მოჰქონდათ ხოლმე ბავშვებს, ისიც სამაგიეროდ თევზაობას ასწავლიდა მათ, ან ნავს ათხოვებდა სასეირნოდ. გენკამ მის ნავზე ისწავლა ნიჩბების მოსმა.

ათი საათი იქნებოდა, როცა ბავშვები ბაბუა გერასიმის «ბაქანთან» მივიდნენ. თოკით მიბმული ნავი იქვე ტალღებზე ტორტმანებდა.

— გენკა, ვიჩქაროთ.

— თუ შეგვამჩნიეს?

— მთვარის ამოსვლამდე ვერ დაგვინახავენ. ბნელა.

ისინი სწრაფად ჩახტნენ ნავში. გენკამ ნიჩბები გამართა, თემურმა კი ნავი ახსნა ნაპირიდან და დაიძრნენ. ირგვლივ ფოლადისფრად ელვარებდნენ ზღვის ტალღები. ნავი უხმოდ მიაპობდა ზვირთებს,—ხან მაღლა იწევდა, ხან ძირს დაექანებოდა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა.

მათ არ იცოდნენ, რამდენ ხანს მიცურავდნენ, მთელ ღამეს თუ ერთ საათს. ირგვლივ იყო მხოლოდ უსაზღვროდ გაშლილი ზღვის ტალღები. ქერჩის მხარეს დროდადრო გაიელვებდა დაფიონი და ამით ხვდებოდნენ რომ იქით იყო ხმელეთი, ფრონტი...

გამბედავს ზღვაზე ბედი წყალობსო,—ამბობენ მეზღვაურები. ახლაც ასე მოხდა: ბურუსში ოდნავ გამოკრთა შუქი, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ადგილზე განმეორდა. გენკამ და თემურმა შენიშნეს, რომ მათგან არც თუ ისე შორს რაღაც მოძრაობდა. უეცრად სინათლემ თვალები მოსჭრა ორივეს და შემდეგ ისევ წყვდიადი გამეფდა.

ბავშვები გაინაბნენ. იქნებ მტრის გემია? მაშინ ხომ აშკარად დაიღუპებიან?... კიდევ განათდა: ახლა გენკამ გარკვევით დაინახა გემი, ბორტზე მკაფიოდ გაარჩია №.

— ჩვენებისაა!—დაასკვნა გენკამ და ნავზე ისე შეხტა, რომ კინაღამ არ გადააყირავა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი გემზე იყვნენ. კაპიტანი ნიკოლოზ სემუშკინი თვალებს არ უჯერებდა. ნაპირიდან რვა კილომეტრის დაშორებით, შუა ზღვაში შეჭრილი უცნაური მენავეები კაპიტან ვახტანგ გოცირიძის ვაჟი თემური და მისი მეგობარი გენკა შჩუკინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოჩნდნენ. «ძია კოლია» ყურადღებით უსმენდა ბავშვებს და თან რაღაცაზე ღრმად ფიქრობდა. თემური აჩქარებით უყვებოდა მას ქალაქში ნახულს და განცდილს. გენკაც თავს იქნევდა დროდადრო.

— მაშ მართლა აპირებენ გალერეიდან სურათები გაზიდონ?

— მართლა!—უპასუხა თემურმა. მისი სახის ყოველი ნაკვთი უძრავი და დამარწმუნებელი იყო.

ნიკოლოზ სემუშკინი კაპიტან გოცირიძესთან ერთად სწავლობდა საზღვაო სასწავლებელში. გულითადი მეგობრები იყვნენ. კოლია სიჭაბუკეში ხატვით და მუსიკით იყო გატაცებული, მაგრამ მერე მაინც მეზღვაური გახდა. გაზედულ და გამოცდილ კაპიტნად ითვლებოდა შავი ზღვის ფლოტში. გემზე თავის კაიუტაში მას მაინც ჰქონდა ზეთის საღებავები და მოცლილობის დროს ხატავდა ხოლმე. პეიზაჟების ხატვა უყვარდა.

სემუშკინი საგონებელში იყო ჩავარდნილი. მას ჰქონდა დაზვერვის დაწვრილებითი ცნობები ფეოდოსიის სანაპიროზე გერმანელთა საზღვაო და სახმელეთო ძალების განლაგების შესახებ. ჰქონდა სარდლობისაგან მოქმედების უფლებაც; ერთ რამეში არ იყო დარწმუნებული: ასე ადრე განიზრახავდნენ თუ არა გერმანელები გალერეიდან ძვირფასი სურათების გატანას.ახლა ამაშიც დარწმუნდა. თემური და გენკა არ ტყუოდნენ.



რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი გემზე იყვნენ...

გემზე უეცრად გაიცა საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება, მთელი «კომანდა» ერდოზე შეიკრიბა. კაპიტანი სემუშკინი ვახტზე შედგა. თემური ვერ ხედავდა კაპიტანის სახეს, მაგრამ მისი სიტყვების მიხედვით, წარმოიდგინა, როგორი გამომეტყველება ჰქონდა ამ წუთებში «ძია კოლიას». იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა.

— ...ფაშისტებმა განიზრახეს გაიტაცონ ფეოდოსიიდან დიდი მხატვრის აივაზოვსკის სურათები. სარდლობისაგან ჩვენ გვაქვს თავისუფალი მოქმედების უფლება. თავდასხმა ქალაქზე გალერეის მიდამოებში უნდა მოხდეს პირდაპირ ზღვიდან, მოულოდნელად: ოპერაცია მსხვერპლს მოითხოვს. ეს მსხვერპლი ჩვენ უნდა გავიღოთ იმ მხატვრის მემკვიდრეობის გადასარჩენად, რომელსაც ასე უყვარდა ზღვა, სიცოცხლე, ჩვენი ქვეყანა...

სასტიკი ბრძოლის მოლოდინში ღელავდნენ მეზღვაურები, თუმცა ყოველი მათგანი გარეგნულად დამშვიდებული გამოიყურებოდა. გემი მძიმედ დაიძრა განთიადის ბურუსში და ნაპირისაკენ აიღო კურსი. ოდნავ გამოჩნდა ნაპირი. მეზღვაურებმა ფრთხილად ჩაუშვეს ნავტიკები და დაიძრნენ. გენკა და თემური ბევრს ეხვეწნენ კაპიტანს ისინიც წაეყვანათ, მაგრამ სასტიკი უარი მიიღეს. მეგობრები გემის ბაქანზე იდგნენ და მოუთმენლად გაჰყურებდნენ ქალაქს, რომელიც თანდათანობით მკაფიოდ ისახებოდა ბურუსში.

ლოდინი ნახევარ საათს გაგრძელდა. გემზე მყოფთ კი მთელ ღამედ მოეჩვენათ იგი. მოულოდნელად ავარდა კვამლი გალერეის ირგვლივ, თითქოს ცეცხლწაკიდებული ტალღები აიჭრნენ ნაპირზე.

— დაიწყო!—წაიჩურჩულა გენკამ და ხელი მაგრად მოუჭირა მეგობრის ხელს...

* * *

...სამი საათის შემდეგ გემი ზღვაში გავიდა. აივაზოვსკის გალერეიდან გამოტანილი ყველა სურათი ხომალდზე იმყოფებოდა. ეკიპაჟს თორმეტი კაცი აკლდა. თავის კაიუტაში სავარძელზე მიწოლილი მძიმედ დაჭრილი კაპიტანი სემუშკინი სიცოცხლეს ეთხოვებოდა.საყვარელ კაპიტანს გვერდით უდგნენ მეზღვაურები, რომელთა თვალებში ცრემლი კიაფობდა. ისინი ალბათ პირველად ტიროდნენ თავიანთ სიცოცხლეში.

გემი კი მიაპობდა ტალღებს, ირწეოდა, თითქოს მარადიული ძილისთვის უნანავებდა გმირულად დაღუპულ კაპიტანს. თემური იჯდა «ძია კოლიას» სავარძელთან და უაზროდ ატრიალებდა ხელში ფუნჯს, რომელიც დაუფიქრებლად აეღო კაპიტნის მაგიდიდან.



უოლტერ უაიტი

ნახატები შ. ცხადაძისა

# შავები და თეთრები*

ბობი მხიარულად უსტვენდა და თავის ჩემოდანს ალაგებდა. იგი ემზადებოდა ბოსტონში გასამგზავრებლად. რა ბედნიერებაა, რომ სასწავლებლად მიდის. მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა ეცხოვრა იქ, სადაც შეიძლებოდა ნამდვილად დაწაფებოდა მეცნიერებას. მის თვალწინ კოლეჯში ცხოვრების სურათი იხატებოდა. იგი არ აყვება ბავშვურ სხვადასხვანაირ ცელქობას, რომელთაც არ ერიდებიან კოლეჯის სტუდენტები და რომელთა შესახებ ხშირად იწერება გაზეთებში. არა, იგი უკვე მოზრდილია, და ცელქობისათვის აღარ სცალია. მან იმდენად კარგად იცის, თუ რა მძიმე და დუხჭირია ცხოვრება, რომ ტყუილუბრალოდ დროს არ დაკარგავს. ყოველ წუთს სწავლას მოახმარს. იგი პირველი მოსწავლე იქნება კოლეჯში, და მემი და კენეტი იამაყებენ: ერთი ძმით, მეორე—შვილით. მან გადაწყვიტა ზაფხულის არდადეგებზეც იმეცადინოს, რომ კოლეჯის სამი წლის კურსი ორ წელიწადში გაიაროს. მომავლის ნაირფერადი, წარმტაცი სურათები ეხატებოდა ბობს; იგი აჩქარებით ალაგებდა თავის ჩემოდანს.

და უეცრად ბობი გაშეშდა. ქვემოდან, ნახევრად შეღებულ კარებში მას უცნაური ხმა შემოესმა. თითქოს ვიღაც ტიროდა კენეტის ოთახში! არა, კენეტი დღეს დილაადრიან ქალაქ ატლანტში წავიდა. მაგრამ ნამდვილად ტირის ვიღაც, და ტირის დიდი უბედურებისაგან. ბობი დერეფანში გამოვიდა, დაეყრდნო კიბის მოაჯირს და სმენად იქცა.

კი, მემია და დედამისი! მან ყურები ცქვიტა გაკვირვებით: რა უნდა დამართოდა მის დაიკო მემის, ასე მწარედ რომ ქვითინებს. ქვითინებს და რაღაცას უამბობს დედას, დედა კი ამშვიდებს. წყნარად, რაც შეიძლება უხმაუროდ ჩავიდა ბობი ქვევით კიბეზე.

მემი სლუკუნებდა და უამბობდა დედას თავისი საშინელი უბედურების შესახებ:

— მე ევგენის მაღაზიაში მივდიოდი... და იმ ჯიმ არჩერმა და ჩარლი ალენმა... და კიდევ ორმა-სამმა მათთან ერთად... იმათ, ვინც ყოველთვის თავს იყრიან

* უოლტერ უაიტი თანამედროვე ზანგი მწერალია. ვაქვეყნებთ ერთერთ მის მოთხრობას მცირედი შემოკლებით.

მალაზიასთან, კუთხეში... დამიწყეს სისაძაგლის ლაპარაკი... როცა მალაზიიდან გამოვედი... სახლისკენ გამოვუჩქარე, ისინი კი, ჩანს, უკან ამედევნენ...

მემი ისევ აქვითინდა, დედა ამშვიდებდა და ემუდარებოდა—ასე ხმამაღლა ნუ ტირიო. მემიმ შეიკავა ტირილი და განაგრძო თავისი ამბავი. უეცრად ბობს სახე შეეშალა. სუნთქვაშეკრული მთელი სხეულით ცახცახებდა, იდგა კიბეზე და ყურს უგდებდა.

... იმ ბოსტანთან... რკინიგზის ახლოს რომ არის, ისინი გამოხტნენ საიდანღაც და მეძგერნენ... ღმერთო ჩემო, რატომ არ მომკლეს იქვე? მემიმ შეჰკივლა არაადამიანური ხმით.—მერე... არა, არ შემიძლია... არ შემიძლია!..

ერთ წუთს ბობი ელდანაკრავივით იყო გაშეშებული. მერე ერთბაშად სისხლი აუვარდა თავში. თვალის დახამხამებაში თავის ოთახში შევარდა, სწვდა მაგიდას და ყუთიდან რევოლვერი ამოიღო. პერანგისამარა, უქუდო ჭაბუკი სირბილით დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გავარდა. მემიმ და დედამ მხოლოდ ფეხის ხმა გაიგონეს. მემი, რომელიც იატაკზე იყო დამხობილი ტანისამოსშემოგლეჯილი, სახედაკაწრული და დასისხლიანებული, სწრაფად წამოხტა და კარებს ეცა. ახლა მის სახეზე კიდევ უფრო მეტი საშინელება იყო აღბეჭდილი, ვიდრე აქამდე.

— ბობ! ბობ! დაბრუნდი! დაბრუნდი!—ყვიროდა იგი შემზარავი ხმით.

მაგრამ ბობი უკვე შორს იყო...

* * *

ევგენის მალაზიის წინ ათიოდე ახალგაზრდა იყო თავშეყრილი—ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა. ერთი მათგანი რაღაცას ყვებოდა, უთუოდ ძალიან საინტერესოს და სასაცილოს. დროგამოშვებით ახალგაზრდების ხმამაღალი ხარხარი გაისმოდა. უეცრად ისინი გაჩუმდნენ.

ქუჩაში მათკენ თავშიშველა, პერანგისამარა შავკანიანი მორბოდა. თავშეყრილებმა გაიწ-გამოიწიეს—შუაში ჯიმ არჩერი და ჩარლი ალენი იდგნენ. ჯიმ არჩერი იყო სწორედ, ახალგაზრდებს რომ ართობდა ამ წუთში.

ბობი სწრაფად მიუახლოვდა ჯიმს, რომელსაც სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა. ჯიმმა გაქცევა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო. უსიტყვოდ, სიძულვილით სავსე თვალებით შეხედა მას ბობმა, იძრო რევოლვერი და ორჯერ ესროლა ზედიზედ. ჯიმს შიგ გულში მოხვდა ტყვიები. ჩარლ ალენი ეცა ბობს იარაღის წასართმევად, მაგრამ მასაც ორი ტყვია მოხვდა და ძირში მოჭრილ ხესავით ბობის ფეხებთან დავარდა.

დანარჩენები აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ბობი მშვიდად, აუჩქარებლად მივიდა საბარგო მანქანასთან, რომელიც იქვე იდგა უშოფეროდ, და საჭეს მიუჯდა. ამ დროს მთელი ქუჩა განსაცვიფრებელი სისწრაფით აივსო ხალხით. მაგრამ, ვიდრე ვინმე მოახერხებდა ბობის შეპყრობას, იგი უკვე მიქროდა ავტომანქანით; გაიარა ქუჩა ლი, შეუხვია ოგლეტორნავენიუზე და გავიდა ტრიალ მინდორში—ქალაქგარეთ.

სამი მილი რომ გაიარა ქალაქიდან, ავტომობილის ბაკში ბენზინი გამოილია. ბობმა გზიდან გადაუხვია, მანქანა ბუჩქებში დატოვა, რომ არავის დაენახა, თვითონ კი გაიქცა. ოღონდ როგორმე რკინიგზამდე მიეღწია! ბობი ჩრდილოეთში გადავა, მეკონში. იქ დროებით დაიმალება. მერე... მერე კანადაში გადავა. მერე...

გაჭირვებით მიდიოდა იგი ბამბის პლანტაციებში, რომელთაც დასასრული არ უჩანდა. უკვე შუაღამე ახლოვდებოდა, როცა შეჩერდა. დილიდან მის პირში არაფერი ჩასულა; დილით მხოლოდ ცოტა ისაუზმა, სადილისთვის კი მგზავრობის სამზადისში ვერ მოიცალა. უდიდესი სიმწარით ჩაუფიქრდა იგი ახლა იმ ცვლილებას, რომელიც სულ რამდენიმე საათში მოხდა მის ცხოვრებაში. ამ თორმეტი საათის წინ იგი კოლეჯში გამგზავრების გეგმებს აწყობდა. ახლა კი... მისი დის ცხოვრება სამუდამოდ დაღუპულია, თვითონ ბობი მკვლელი შეიქნა, ორი კაცის მკვლელი, და ახლა გარბის, კაცმა არ იცის, საით. და მაინც მოხარული იქნებოდა, რომ სცოდნოდა, ორივე მოკლა თუ არა. ასეთებმა არ უნდა იცოცხლონ!.. მაგრამ რა მოუვა მას, რომ დაიჭირონ?!

არა, უკეთესია, ამაზე არ იფიქროს. მეტისმეტი საშინელებაა! სულ არაა საჭირო ფიქრი... ახლა გულის გამაგრება მართებს.

* * *

ეს რა მოუვიდა ბობს? ნუთუ დასძინებია?!.. ეს რაღაა? ძაღლები?! მეძებრები?! ღმერთო ჩემო! უნდა გავიქცე, ახლავე გავიქცე! იგი შეეცადა გაეხსენებინა, თუ როგორ აღწევდნენ თავს მეძებრებს იმ რომანებსა და მოთხრობებში, რომლებიც მას წაუკითხავს. აჰა, წყალი! იგი მოძებნის მდინარეს და ფონით გადავა მეორე ნაპირზე. მაშინ წყეული ძაღლები მის გეზს ველარ აიღებენ.

წყალზე ფიქრმა წყურვილი გაახსენა. ბობს ძლიერ სწყუროდა. პირი საშინლად გამშრალი ჰქონდა! ფეხები წელამდე აუტანლად ტეხდა, ძლივს აბიჯებდა ფეხებს. რატომღაც მოაგონდა ერთი ვინმე დამბლადაცემული, რომელიც ერთხელ ატლანტში ნახა. რა ერქვა მას? ბილ? არა; ჯიმ? არა, არა. რაღაც ამის მსგავსი. მაგრამ არა ეს...

კარგი იყო სცოდნოდა, როგორ გრძნობს თავს მემი. მემი? მაგრამ ვინ არის მემი? რა მოუვიდა მას? იგი დაძაბული ფიქრობდა და ცდილობდა გაეხსენებინა ყოველივე მომხდარი. მაგრამ რაკი არაფერი გამოუვიდა, თავი გაანება. მისი ტვინი... ასე დაუძლურებულია... ასე ცუდად მუშაობს...

და ანაზდად მისი აშლილი გონება გამოფხიზლდა, როცა აქა-იქ, სულ ახლოს გაისმა შემზარავი ყეფა. ისევ ის წყეული ძაღლები! მაგრამ ბობი ცოცხალი არ დანებდება მათ. მან ჩაიყო ჯიბეში ხელი, მოსინჯა რევოლვერი—ყველაფერი რიგზეა. ახლა მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი და ვაზნები დაითვალა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა! ყველაფერი თავის ადგილზეა! შვიდი—ამ მხეცებისათვის, ერთი—საკუთარი თავისთვის!

განთიადის ბინდში მოულოდნელად ძველი ფარდული გამოჩნდა. ბობი ძლივძლივობით მილასლასდა ფარდულამდე, შევიდა კარებში და ჩაიკეტა. ცხადია,

ვერაფერი დიდი საფარი იყო ეს, მაგრამ სულ არარაობას მაინც სჯობდა! იგი ჩამოჯდა კარებთან, ძველ ყუთზე. იქვე კედლის ფიცარში როკი გამოვარდნილიყო და მოზრდილი ხვრელი გაჩენილიყო. ბობმა მიაჩოჩა ყუთი ხვრელთან და რევოლვერი გატენა. ერთი, ორი, სამი, ოთხი ვაზნა! ორი დაუცლელი ვაზნა კიდევ იყო რევოლვერში. მაშასადამე სულ ექვსი ვაზნაა ახლა რევოლვერში და კიდევ ოთხი ჯიბეში.

არსმენად იქეცი, ბობ! ძაღლები თითქმის ახლოს არიან. აი ისინიც!... მაგრამ ბობი არ დახარჯავს ძვირფას ტყვიებს მათზე. ო, არა! იგი შემოინახავს ტყვიებს ძაღლ-ადამიანებისათვის, წყეულიმც იყოს მათი სახსენებელი!

აი, უკვე მოდიან! ღმერთო, რა ძნელია სიკვდილი! სწორედ იმ დროს, როცა ცხოვრება ასე ლამაზად იწყებოდა! ერთი ვიცოდე, ჩემს ადგილს ვინ დაიჭერს კოლეჯში? კარგი იქნება, თუ ეს ადგილი რომელიმე შავკანიანს ერგება... კოლეჯი ახლა ისე შორსაა, შორს... გადარჩენის იმედიც შორსაა, როგორც მთვარე დედამიწისაგან!

ერთი ამათ შეხედეთ, როგორ ფრთხილად არტყამენ ალყას ფარდულს! რატომ ვერ მოდიან გაბედულად, უშიშრად, როგორც ეს ვაჟკაცებს შეშვენის? მოვიდნენ და შეიპყრონ იგი. აი, აგერ ჯიმ არჩერის ძმა. ტრახ! მორჩა. შეხედე როგორ იკრუნჩხება იგი მიწაზე. ამიერიდან ძმები არჩერები ვეღარ შეავიწროებენ შავკანიან გოგონებს? ტრახ! დასწყევლოს ეშმაკმა, ავაცდინე. უკეთესად უნდა დავუმიზნო! ტრახ! ეს რა ღვთის წყრომაა, ისევ ავაცდინე! არა, ერთს მაინც მოხვდა! ერთი, ორი, სამი, ოთხი ვაზნა უკვე გასროლილია. დარჩა ექვსი. ხუთი მათთვის, ერთი — ჩემთვის. ტრახ! ტრახ! კიდევ ერთი გაგორდა. ერთხელ კიდევ გავტენი. ერთი, ორი, სამი, ოთხი! თითქმის ყველა გასროლილია! ხუთი, ათი, ხუთმეტი წუთის სიცოცხლე დამრჩენია... და მერე, რატომ მაინცადამაინც მემი ამოირჩიეს? რად მოისურვეს ასეთი კარგი გოგონას, ჩემი დაიკო იემის დაღუპვა?!

ტრახ! გესმის, როგორ ღმუიან ისინი? ეს ჩემთვის სასიამოვნო მუსიკასავითაა!.. მაგრამ ეს რა არის? ნუთუ ისინი წავიდნენ? იქნებ ახლა შეიძლება აქედან თავის დაღწევა და გაქცევა? გაიძვერები, ლაჩრები! ორმოცდაათი, ასი, ათასი, ხუთი ათასი მოდის ერთის წინააღმდეგ! ყოველთვის ასე ესხმიან თავს ზანგებს ეს „კეთილშობილი“ ამერიკელები. ათასობით მოიყრიან თავს, რომ ლინჩის სასჯელით გაუსწორდნენ ერთ ზანგს, როგორიცაა, მაგალითად, ბობ ხარპერი!

კვამლი? არა, ეს შეუძლებელია? კი, კვამლია. ჩანს, მისი ცოცხლად დაწვა გადაუწყვეტიათ! ტრახ!

ღმერთო ჩემო, მხოლოდ ერთი ტყვიაღა დამრჩა! არა, ცოცხალს ხელში ვერ ჩამიგდებენ! ლინჩით დასჯა უნდათ! ცოცხლად დაწვა! როგორც ამ ერთი თვის წინათ, ტექასში, ერთი ჭაბუკი დასწვეს! ჩქარა... ჩქარა... არ ჩავუვარდე ხელში ცოცხლად! მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშვიდ... ტრახ!

დიდხანს ვერ გაბედეს ჯალათებმა ცეცხლწაკიდებულ ფარდულთან მისვლა, თუმცა ბობი კარგა ხანია უკვე მკვდარი იყო. მათ ეშინოდათ, ზანგმა განგებ ხომ არ შეწყვიტა სროლა, რომ ისინი გაშლილ ადგილზე გამოეტყუებიაო. ბოლოს, რამდენიმე ზალპი მისცეს ფარდულს, ორი-სამი კაცი გამოეყო ბრბოს; ფრთხილად შევიდნენ და მკვდარი ზანგი ნახეს.

ბობს საფეთქელში უსვრია ტყვია და გადმოვარდნილა ყუთიდან, რომელზეც იჯდა. მისი ფეხები ყუთზე ეწყო, ბეჭებით იატაკს ებჯინებოდა, ხელები ფართოდ გადაეშალა. დაცლილი რევოლვერი გვერდზე ეგდო, ათ ნაბიჯზე.

თარგმნა **შ. გვინჩიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ ჩხაიძე

ნახ. ზ. ლეჟავასი

# შეჯიბრება

თავგამოდებით იბრძოდნენ პირველობისათვის სოფლის ზემოურ-ქვემოური ბიჭები.

უნდა გენახათ შვაისნარის ჩაის ველის გადაღმა ბურთის ირგვლივ ატეხილი გაწამაწია, თუ როგორი სიყვარულით იხუტებდა გულზე ბადეში შევარდნას ბეწვზე გადარჩენილ ბურთს მეკარე, ან როგორი სიავით წიხლავდა მოპირდაპირე იმ ბურთს: „რათ ვერ იმარჯვე, როგორ თუ ასცდი ბადესო“.

უნდა გენახათ, როგორ გარბი-გამორბოდნენ ბიჭები ყიჟინით:

— არიქა ბურთი!

— არ გაუშვათ! — გასძახოდა ზემოურების ჯგუფის უფროსი ერთიციცქნა ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნა შაქრო, და ბიჭები არ უშვებდნენ, ტყავის ბურთს ტყავს აძრობდნენ ფეხების გარტყმით.

გორვა-გორვით მირბოდა ბურთი ქვემოურების კარისკენ. აი კიდევ ერთი ბიძგი, ერთი გოჯა მანძილი, და ზემოურები გამარჯვებას იზეიმებდნენ.

მაგრამ შაქროზე არა ნაკლები ბიჭი გახლდათ გიგა — ქვემოურების ხელმძღვანელი. ისე ოსტატურად დაურტყამდა, ისე აურევდა გზა-კვალს, რომ გვერდდაჟეჟილი ბურთი ზემოურებისაკენ იბრუნებდა პირს.

— არიქა, ბიჭებო! არიქა! — ახლა გიგა ყიჟინებდა და გული „ვაშას“ უმღეროდა.

ისევ ბეწვზე გადაარჩენდა მეკარე გუნდს მოძალე სტუმარ-ბურთისაგან.

თავგამოდებით იბრძოდნენ პირველობისათვის სოფლის ზემოურ-ქვემოურები. დაგორავდა ბურთი, გარბი-გამორბოდნენ ბიჭუნები, მაგრამ ჯერ კიდევ სამხრობისას გაუტანელი ბურთი კარდაკარ დაწანწალებდა.

* * *

შვაისნარის ველზეც იბრძოდნენ პირველობისათვის ზემოურ-ქვემოურები.

ათასი ხელი შესეოდა მწვანე, ბურთებივით დამრგვალებულ ჩაის ბუჩქებს.

ზემოურებს ტანმაღალი, ეშხიანი თაფლო ხელმძღვანელობდა, ქვემოურებს — თაფლოზე უფრო ტანმორჩილი და უფრო ეშხიანი მაშო.

თაფლო შაქროს დედა იყო, მაშო გიგას დედა.

ათივე თითებით, ელვისებური სისწრაფით კრეფდნენ ისინი თავქოჩორა ჩაის ბუჩქებს.

— ქალო, თაფლო, უხარისხო ფოთლები არ შეაყოლო! — აფრთხილებდა თაფლოს მაშო.

— მომეშვი, თუ ქალი ხარ, რას წამდგომიხარ თავს ციცხვივით, შენს ქოთანში ჩაიხედე, კერძი არ დაგეწვას! — ნიშნისმოგებით გასძახოდა თაფლო მაშოს, მის გვერდით მომუშავე ჭრელხილაბანდიან ქალს კი ჩუმად ტუქსავდა: „სულ შენი ბრალია, ნინუცა, გუშინ შენი გოდრიდან გადმოჰყარეს წუნიო“.

თავგამოდებით იბრძოდნენ პირველობისათვის შვაისნარის ჩაის ველზე და შვაისნარის გადაღმა მინდორზე:

— ჯარიმა! — მოითხოვდა შაქრო.

— არაფერიც! — არ უთმობდა გიგა.

— ქალო, თაფლო, გასძახე შაქროს, შეხე, როგორ ყოყლოჩინობს! — თქვეს ჩაის ველზე.

— არც შენი გიგაა ნაკლები!

— თქვენს დავაში მუშტი-კრივზე გადავლენ და ერთმანეთს დახოცავენ! — შენიშნა ორივე დედას ამ დროს მოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და წაკინკლავებულ ფეხბურთელებს რიხიანად გასძახა:

— ჩაის კრეფას ვერ ვასწრებთ, გეგმა გვეშლება, მოგვეშველეთ!

— წავიდეთ, წავიდეთ, — შესძახეს ბიჭუნებმა, გაუტანელი ბურთი შუა მინდორზე დატოვეს და რიგ-რიგობით ჩამწკრივებულ ბურთებივით დამრგვალებულ ჩაის ბუჩქებისაკენ სწრაფად გაეშურნენ.

ნორჩების ბრიგადის მერგოლურებად გიგა და შაქრო დანიშნეს.

— იმარჯვეთ, იმარჯვეთ, ტყუილა ტრაბახობთ კარგი ბურთის გატანა ვიცითო. — გასძახოდნენ დედები შვილებს და ყმაწვილები მართლაც თავგამოდებით მუშაობდნენ.

თავდავიწყებით კრეფდა ჩაის ნორჩ ფეხბურთელთა ბრიგადა. ვის ახსოვდა ზემოურქვემოურობა, დაავიწყდათ კიდეც რომ რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთისაკენ საცემრად მიიწევდნენ.

მხოლოდ მაშინ მოაგონდათ ფეხბურთი, როცა სატვირთო ავტომანქანის გახსნილ უკანა კარში ჩაით პირამდე სავსე უკანასკნელი გოდორი გაიტანეს, და ისე ძლიერ გაეხარდათ ეს საერთო გამარჯვება, თითქოს ბურთი ვაეტანოთ „მოწინააღმდეგის“ კარში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერხელმძღვანელის დასახმარებლად

# აღვზარდოთ პიონერებში სიყვარული წიგნისადმი

ბავშვთა შორის წიგნის, როგორც ცოდნის წყაროს პროპაგანდაში ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციამ სერიოზული როლი უნდა შეასრულოს.

თითოეული პიონერხელმძღვანელის საპატიო მოვალეობაა დაეხმაროს სკოლის პიონერ-მოსწავლეებს წიგნისადმი სიყვარულის აღზრდაში, კითხვისადმი ინტერესის გაღვივებაში.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პიონერებს უნდა ჩავუნერგოთ სიყვარული კითხვისადმი. დავეხმაროთ მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში".

პიონერთა ორგანიზაციამ ნორჩი ლენინელები წიგნის საუკეთესო მეგობრებად უნდა აღზარდოს. ეს პიონერთა შორის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია და მისი წარმატება ბევრად არის დამოკიდებული პიონერხელმძღვანელის უნარიან მუშაობაზე.

პიონერხელმძღვანელის ყოველდღიური, საქმიანი კონტაქტი მასწავლებლებთან, სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკასთან, ლიტერატურის ცოდნა და სისტემატური ყურადღება ახლადგამოცემულ წიგნებისადმი—ეს ის აუცილებელი პირობაა, რომელსაც პედაგოგიურად სწორად გააზრებულ ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად შეუძლია მოგვცეს სასურველი შედეგი.

წიგნის პროპაგანდისათვის მოხერხებულად უნდა იქნეს გამოყენებული პიონერული მუშაობის ის მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელს აღმზრდელობით მუშაობას პიონერთა რგოლებსა, რაზმებსა და რაზმეულებში.

პიონერთა შეკრება, რომლის კარგად ჩატარებას თავისთავად აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წიგნის პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალება.

პიონერებისათვის საინტერესო წიგნის კითხვას შეიძლება მიეძღვნას რგოლის შეკრება, წაკითხული წიგნების განხილვა, სათანადო ალბომების, ბიულეტენების, ნახატების და სხვ. გამოფენა, შეიძლება პიონერულ კოცონთან მოწვეულ რაზმის შეკრებაზე.

საინტერესო შეკრებები შეიძლება ჩატარდეს ლიტერატურული ამოცანებისა და შარადების ამოხსნით, რაც პიონერებსა და მოსწავლეებს აჩვევს მოფიქრებულ კითხვას, შინაარსის სხარტად გადმოცემას, იდეის გარკვევას და უნერგავს მათ სხვა სასარგებლო ჩვევებს.

წიგნების გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს საინტერესო წიგნების გაცნობის, მათი პოპულარიზაციის და საერთოდ წიგნის წაკითხვისადმი ინტერესის გაღვივების საქმეში.

გამოფენა შეიძლება თემატური ხასიათის იყოს. იგი სასურველია მკითხველთა კონფერენციებს დაუკავშიროთ. მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები ჩვეულებრივად საიუბილეო თარიღებთან ან მწერლის შემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით უნდა მოეწყოს. სასურველია პერიოდულად ეწყობოდეს ახლად გამოსულ საბავშვო წიგნების გამოფენაც. გამოფენა ლამაზად უნდა იყოს გაფორმებული გონივრულად შერჩეული სათაურებით, ციტატებით, ნახატებითა და სხვ.

გამოფენა შეიძლება მოეწყოს ცალკეული წიგნის მიხედვითაც.

ასეთი გამოფენის ელემენტებს შეადგენს: წიგნი (ყდა), რამდენიმე დამახასიათებელი ილუსტრაცია, ნაწყვეტი წიგნიდან, რომელიც ნაწარმოების ძირითად იდეას გამოხატავს, ანოტაცია, მკითხველთა მოკლე შთაბეჭდილებანი, რეცენზია და შეკითხვები მკითხველისადმი. სასურველია აქვე იყოს ავტორის პორტრეტი და მისი მოკლე ბიოგრაფია.

ასეთი გამოფენა, რომლის მოწყობაც ადვილია, ბუნებრივია აღძრავს ამ ნაწარმოების წაკითხვის სურვილს და მიზანიც მიღწეული იქნება.

მკითხველთა კონფერენციები წიგნის პროპაგანდისა და ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნის ქმედით საშუალებას წარმოადგენენ. ისინი ბავშვებში ანვითარებენ საკუთარი აზრის არა მარტო გამოთქმის, არამედ მისი დასაბუთებული დაცვის უნარსაც.

მკითხველთა კონფერენციები შეიძლება მიეძღვნას ცალკეულ წიგნების განხილვას ან მწერლის შემოქმედებას, იგი შეიძლება თემატურ ხასიათს ატარებდეს და აგრეთვე ჩატარდეს კითხვის საკითხებზეც.

კონფერენციისთვის მზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს პიონერთა რგოლებსა და რაზმებში და ატარებდეს მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარისათვის ქმედითი დახმარების ხასიათს.

ლიტერატურულ თამაშობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ნორჩ მკითხველებში წიგნისადმი სიყვარულის აღზრდასა და გააზრებული კითხვის ჩვევების დანერგვაში.

ნაწარმოებებიდან ცალკეულ ნაწყვეტების მოყვანა ავტორისა და ნაწარმოების სახელწოდების გამოცნობის მიზნით, ამავე მწერლის სხვა ნაწარმოებების ჩამოთვლა და თამაშობათა სხვა ვარიანტები, რომელთა მოფიქრება მრავლად შეიძლება, ბავშვებში იწვევს მათთვის უცნობი ნაწარმოების წაკითხვის სურვილს. ლიტერატურული თამაში შეიძლება ასე მოეწყოს: პიონერებს ვაჩვენოთ მათი ასაკის შესაფერის ნაწარმოებთა ავტორების პორტრეტები ასეთი მოთხოვნით: დაასახელეთ მწერლის გვარი და მათთვის ცნობილი მისი ნაწარმოებები. შესაძლებელია სტენდის მოწყობა სხვადასხვა ილუსტრაციებით. პიონერებმა უნდა დაასახელონ ნაწარმოები, რომელსაც ილუსტრაცია ეკუთვნის.

საბავშვო წიგნის კვირეულში პიონერთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ. კვირეული საბავშვო ლიტერატურის პროპაგანდის შესანიშნავ ფორმას წარმოადგენს და მისი საინტერესოდ ჩატარება პიონერული ხელმძღვანელობის მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს.

შეხვედრების მოწყობას საბავშვო მწერლებსა და პოეტებთან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით პიონერული ასაკის მოსწავლეებისათვის. ამიტომ, წიგნის პროპაგანდასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარების დროს პიონერთა ორგანიზაციამ ამ საქმეში ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მოღვაწენიც უნდა მიიზიდოს.

წიგნის პროპაგანდის საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კინო და თეატრი.

პიონერხელმძღვანელმა უნდა იცოდეს მწერლებისა და პოეტების საიუბილეო თარიღები, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ლიტერატურული მასალის თანმიმდევრობა და პიონერთა ორგანიზაციაში ჩატარებულ ღონისძიებებს მოხერხებულად უკავშირებდეს მათ.

პიონერთა ორგანიზაციები უნდა აწყობდნენ ექსკურსიებს დიდ ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში, აცნობდნენ პიონერებსა და მოსწავლეებს საბიბლიოთეკო საქმეს, უნერგავდნენ მათ პასუხისმგებლობის გრძნობას წიგნის მოვლისა და შენახვისადმი.

პიონერებსა და მოსწავლეებში ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისადმი ინტერესის აღძვრის საქმეში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს საბავშვო სამეცნიერო — პოპულარული ლიტერატურის პროპაგანდამ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბავშვობის წლებისადმი მიძღვნილ წიგნების კითხვას.

ეს წიგნები აცნობენ ბავშვებს დიდი ბელადების ბიოგრაფიებს. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრების შესანიშნავ მაგალითებზე პიონერთა ორგანიზაციამ ნორჩ ლენინელებში უნდა აღზარდოს დიადი სტალინური ეპოქის ღირსეული თაობისათვის დამახასიათებელი ჩვევები.

ოჯახსა, მასწავლებელსა და ბიბლიოთეკართან ერთად პიონერხელმძღვანელს ეკისრება პასუხისმგებლობა ბავშვთა კითხვისადმი სწორი ხელმძღვანელობის საქმეში.

დავეხმაროთ პიონერებსა და მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში, აღვზარდოთ მათში სიყვარული კითხვისადმი და გავუწიოთ მათ კითხვაში სათანადო ხელმძღვანელობა—ეს საპატიო მოვალეობაა ყველა იმათთვის, ვისაც მინდობილი აქვს ჩვენი მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის სათუთი და საპასუხისმგებლო საქმე.

ო. ქინქლაძე

## რა ვიკითხოთ

### „მშვიდობა გვინდა"

ა. ონელის ახალ წიგნში—„მშვიდობა გვინდა", ოცდაცამეტი ლექსია მოთავსებული. თემატიურად ეს ლექსები მრავალფეროვანია. იგი ეხება ბავშვებისათვის საინტერესო საკითხებს და კარგად გამოხატავს ნორჩი თაობის ცხოვრებას. ჩვენი ბავშვების ჯანსაღი მისწრაფებები ყველაზე უფრო კარგად მოჩანს ბელადისადმი მიძღვნილ ლექსებში. ლექსში „გორი" ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულია გამოთქმული. ამ ლექსის გულწრფელად დაწერილი სტრიქონები სრულყოფილად და შესანიშნავად გამოხატავს საბჭოთა ბავშვების სულისკვეთებას, მათ განცდებსა და გრძნობებს.




ლექსი „მშვიდობა გვინდა" განათებულია მშვიდობის იდეით. მისი სტრიქონები ჩვენი ხალხის განწყობილებასა და სურვილებს გამოხატავს.

ლექსში „მასწავლებელი" პოეტის საკუთარი განცდები და მისივე მასწავლებლობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები არის გამოხატული. ლექსის შინაარსი ნათელ წარმოდგენას იძლევა თანამედროვე მასწავლებლის ცხოვრების ხასიათზე, იმ დიდ შემოქმედებითს შრომაზე, რომელსაც მასწავლებელი ქვეყნის საკეთილდღეოდ ეწევა სკოლაში და სკოლის გარეთ. პოეტმა სკოლის თემას რამდენიმე ლექსი უძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია „გზა, რომელიც ბრწყინავს მარად", „სკოლაში და სკოლის გარეთ" და სხვ.

ლექსები „ტყის მეგობრები" და „პატარა ტირიფის ჩივილი" აღმზრდელობითი მნიშვნელობის ნაწარმოებებია. ამ ლექსებით მკითხველი ეცნობა ტყის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მისი მოვლის საჭიროებას. ლექსი „წიგნები" ბავშვს წიგნის მნიშვნელობას აცნობს.

საერთოდ ა. ონელის ლექსები კარგად გამოხატავენ სტალინური ეპოქის ნორჩი თაობის მაღალ მისწრაფებებს. პოეტის მხატვრული ნაწარმოებების ღირსება ისიც არის რომ მისი ლექსები აქტიურად მოქმედებენ ბავშვის შეგნებაზე და ხელს უწყობენ მას სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობების ჩამოყალიბებაში, მის გაძლიერებაში.

ამიტომ ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს წაიკითხონ ეს წიგნი.

ვლ. ჯიბუტი

# მოკლედ ყველაფერზე



## ფრთოსანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა

მინდვრის მშრომელმა ადამიანმა სიმღერები შექმნა „რკინის ხარის“—ტრაქტორისა და „ველმინდვრის ხომალდის“—კომბაინის შესახებ. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ბევრ სხვა მანქანას შორის არის ისეთი, რომელიც თვითონ სიმღერასავით დაჰქრის მაერში.

ეს სასოფლო-სამეურნეო თვითმფრინავია, ამ თვითმფრინავის საშუალებით წარმოებს თესვა, ქიმიური გამარგვლა—სარეველა ბალახის მოსპობა, მაერიდან სასუქის შეტანა, ნიადაგის უზრუნველყოფა ნესტით, საკოლმეურნეო მიწების მეთვალყურეობა, ცხვრის ფარისა და მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგის დაცვა მგლისა და სხვა მტაცებელი ნადირისაგან, ახალი ბუნებრივი საძოვრების დაზვერვა და ყოველივე ამის გარდა, თვითმფრინავი ჭეშმარიტად ფასდაუდებელია მცენარის მავნებლებთან ბრძოლაში.

აფრიკაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ავღანისტანში, პაკისტანში, ინდოეთში, ირანში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში წლიდან წლამდე კალია ანადგურებს მოსავალს. ამ მწერს ტყუილად კი არ ეძახიან „მფრინავ შიმშილს“.

საბჭოთა კავშირში კალიის შემოსევის საშიშროება მოსპობილია. ჩვენი ქვეყნის ავიაქიმიური ბრძოლის გამოცდილება უცხოეთის ქვეყნებსაც გამოადგა. როცა ირანს აურაცხელი კალია შეესია, ირანის მთავრობამ დახმარებისათვის საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართა. მოკლე დროში ჩვენი მფრინავების შემწეობით ლიკვიდირებულ იქნა კალია ირანში.

საბჭოთა კავშირის მხრივ ასეთი უანგარო დახმარების მაგალითი ერთადერთი როდია. როგორც კი ცნობილი შეიქნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიწაწყალზე ამერიკელმა მფრინავებმა კარტოფილის უსაშინელესი მავნებელი—კოლორადოს ხოჭო ტომრობით ჩამოყარეს, საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაუგზავნა ამ ქვეყნებს სასოფლო-სამეურნეო ავიაციის რაზმები. ჩვენმა მფრინავებმა და მეცნიერმა ენტომოლოგებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩეხებს, უნგრელებს, პოლონელებსა და გერმანელებს ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტების „დივერსანტების“ მოსპობაში.

სასოფლო-სამეურნეო ავიაციას არსად, დედამიწის არც ერთ კუთხეში არა აქვს ასეთი დიდი გაქანება და გამოყენება, როგორც საბჭოთა კავშირში.

## ბელოგრადჩიკი

ბულგარეთში ციტრუსების საყვარელ ადგილს წარმოადგენს ძველი პატარა ქალაქი ბელოგრადჩიკი. ლამაზ ამფითეატრად გადაშლილა ის სტარაპლანინას თვალწარმტაც მთის კალთებზე.

წარსულში ამ პატარა ქალაქს ბერათჩიკი ერქვა: სიტყვა „ბერათ“ ნიშნავს საბუთს, რომელიც ძალაუფლებას ანიჭებდა თურქეთის ფაშას ქალაქის მმართველ-გამგებელი ყოფილიყო.

ბელოგრადჩიკის თავზე, კლდეებზე აღმართულია ძველი ციხე-სიმაგრის კედლების ნანგრევები. ქალაქი მთლიანად ქვისაგანაა ნაგები: ქვაშია გაჭრილი ქუჩები, ქვისაგანაა აშენებული სახლები, დახურულია ქვის ფილაქნებით. ყველაფერი ეს თეთრად ქათქათებს და მკვეთრად გამოიყოფა ლურჯი ცის ფონზე. აქედან წარმოსდგა ამ ქალაქის ახლანდელი სახელწოდება—ბელოგრადჩიკი.



ბელოგრადჩიკში სულ სამი ათასი მოსახლეა.

მცხოვრებლებს მთის კალთებზე გაშენებული აქვთ ვენახი, მოყავთ თამბაქო, ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურა. ბელოგრადჩიკიდან ორი გზატკეცილი გადის ქალაქებში ვიდინში და ლომში.

განსაკუთრებით საინტერესოა ბელოგრადჩიკის მიდამოების უცნაური ფორმის კლდეები. ლაბირინთივით არტყია გარშემო ქალაქს ეს კლდეები სამხრეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან; ბელოგრადჩიკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით კი თვალუწვდენი ველია გადაჭიმული; ჰორიზონტზე ვერცხლისფერ ზოლად მდინარე დუნაი მიიკლაკნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## განწირული არწივი

ეს თავმოტვლეპილი არწივი გამოსახულია ამერიკის შეერთებული შტატების გერბზე.

ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ცნობით „ეს ფრინველი, რომელიც შეერთებული შტატების სიმბოლოს წარმოადგენს, გადაშენების გზაზეა დამდგარი“.

ამჟამად ეს მტაცებელი ფრინველი მხოლოდდამხოლოდ ფლორიდასა და ალიასკაზე გვხვდება.

თავმოტვლეპილ არწივს ალიასკაზე მეთევზეთა კომპანიები სპობენ, განსაკუთრებული პრემია აქვთ გამოყოფილი თითოეულ მოკლულ არწივზე.

ფლორიდაში აკრძალულია ამ არწივის მოკვლა, მაგრამ ის თანდათან აქაც ქრება. ფლორიდაში დაუზოგავად ნადგურდება ტყე, ისპობა დიდი ხეები, რომლებზეც ეს ფრინველი ბუდეს იკეთებს. ათი წლის წინათ აქ 480-მდე ბუდე იყო, ახლა კი მხოლოდ 150 დარჩა.



## სახუმარო გამოცანები

1. რომელ კითხვაზე არასოდეს არ შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა?
2. იქნება თუ არა ამ საუკუნეში ისეთი წელიწადი, რომელიც ციფრებით დაწერილი და მერე ყირამალა გადატრიალებული იგივე დარჩება.
3. რა შეიძლება ვნახოთ დახუჭული თვალებით?
4. როგორი ქვები არ მოიპოვება წყალში.
5. რა მოუვა წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცს, თუ მას ხუთი წუთით ზღვის წყალში ჩავდებთ?






საჯარო ბიბლიოთეკა

## შინაარსი

გვ.

ი. ბ. სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე . . . . 2
ხალხის ბედნიერებისათვის (წერილი) . . . . . . . . . 5
ნ. კილასონია — პირველი დროშები (ლექსი) . . . . . . . 12
ნ. შამანაძე — ჩვენი პარტია (ლექსი) . . . . . . . . . . 12
ტ. ჭანტურია — შეხვედრა ტამერფორსში (ლექსი) . . . . . 12
ლეო ქიაჩელი — გაუგებრობა და შედეგი (მოთხრობა) . . . 13
ო. ჭილაძე — ორი სურათი (ლექსი) . . . . . . . . . . . 18
ბ. ბარდაველიძე — რამ დამავიწყოს (ლექსი) . . . . . . . 18
ნ. ნარსია — ყველას ვეტყოდი (ლექსი) . . . . . . . . . 18
გ. ხუხაშვილი — ზღვის სიყვარული (მოთხრობა) . . . . . 19
უოლტერ უაიტი — შავები და თეთრები (მოთხრობა) . . . 24
თ. ჩხაიძე — შეჯიბრება (მოთხრობა) . . . . . . . . . . 27
ო. ქინქლაძე — აღვზარდოთ პიონერებში სიყვარული წიგნისადმი (წერილი) . . . . . . . . . . 29
ვ. ჯიბუტი — „მშვიდობა გვინდა“ (წერილი) . . . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე ა) ფრთოსანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ბ) ბელოკრადჩიკი, გ) განწირული არწივი . . . . . . 31-32
სახუმარო გამოცანები . . . . . . . . . . . . . . . . 32
საჭადრაკო ეტიუდი . . . . . . . . . . . . . . გარეკანის 3
კროსვორდი . . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის 3

გარეკანის პირველ გვერდზე „სოციალისტური შრომის გმირი სტუმრად სკოლაში“ — ნახატი რ. სტურუასი.

გარეკანის მეოთხე გვერდზე „ოქუმელი ნორჩი მიჩურინელები“ — ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. სტურუას, გ. გულისაშვილის, ვლ. ტოროტაძის, ალ. ბანძელაძის, კ. მახარაძის, შ. ცხადაძის და ზ. ლეჟავას მიერ.

რედაქტორი რ. მარგიანი. პ/მგ. მდივანი მ. ლებანიძე. სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, გ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. სამხატვრო რედ. გ. ფოცხიშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Ноябрь № 11 1952.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 06126 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 177 სტამბის შეკვ. № 1310 ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, „გარეკანი“ დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოვსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

ოსტატობის კანდიდატის თ. გიორგაძის რედაქციით.

## საჭადრაკო ეტიუდი

საჭადრაკო კომპოზიციის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი ჟანრია—საეტიუდო ხელოვნება. „საჭადრაკო ეტიუდი,—ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ტროიცკის განსაზღვრით,—ეწოდება ჭადრაკის დაფაზე შექმნილ ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეგვეძლო მიგვეღო პარტიაში, სადაც ერთ-ერთ მხარეს—ჩვეულებრივ თეთრებს, წინადადება ეძლევათ პარტია დაამთავრონ თავიანთი გამარჯვებით ან იძულებით ყაიმით“.

ეტიუდი შეიძლება წარმოიქმნას პრაქტიკული პარტიიდან ან იყოს ეტიუდისტის შემოქმედებითი ნაყოფი.

თანამედროვე საეტიუდო ხელოვნებას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა რუსმა ეტიუდისტმა ა. ტროიცკიმ გასული საუკუნის 90-ან წლებში. ფართოდ განვითარდა საეტიუდო ხელოვნება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ცნობილი ეტიუდისტებია ა. ტროიცკი, ლ. კუბელი, ძმები პლატოვები, შ. კასპარიანი, ვ. კოროლკოვი, ი. ჩეხოვერი და სხვ.

ეტიუდი უფრო ხელოვნების პროდუქტია. საეტიუდო ნაწარმოების შექმნა ითხოვს ეტიუდისტისაგან მდიდარ საჭადრაკო კულტურას, ფანტაზიას, ესთეტიურობას, დახვეწილ გემოვნებას და ტექნიკას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ეტიუდში ლოგიკური თანამიმდევრობით ვითარდება ბრძოლა. ორივე მხარე მოცემული მიზნის მიღწევისათვის აკეთებს ერთადერთ სვლებს. ამიტომ კარგ ეტიუდში გამართული ბრძოლა ყოველთვის ეკონომიურობისა და მხატვრული სილამაზის მატარებელია. აი, მაგალითად, ცნობილი ქართველი ეტიუდისტის გია ნადარეიშვილის ეტიუდი, რომელიც იშვიათი გემოვნებით და ოსტატობითაა შედგენილი:




თეთრები იწყებენ და იგებენ

შეეცადეთ ამოხსნათ ეს ეტიუდი, რომელმაც 1947-48 წ. საკავშირო პირველობაზე მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ეტიუდი თავისი შინაარსით ძალზე ახლო დგას ენდშპილთან (თამაშობის ბოლო). ამიტომ პრაქტიკოსმოჭადრაკესათვის საეტიუდო იდეებთან გაცნობას თამაშის დაოსტატების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. მოჭადრაკესათვის სასარგებლოა დაეუფლოს ეტიუდების გადაწყვეტის ტექნიკას, ვინაიდან ეტიუდი აზუსტებს, აღრმავებს და ამდიდრებს ენდშპილის ცოდნას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეტიუდს არსებითი კავშირი აქვს შუა თამაშთან, სადაც ეტიუდური იდეები და გეგმები პარტიის მთლიანობაში სასიცოცხლო ძალად იქცევიან.

# კროსვორდი




### ვერტიკალურად

1. ქულების უმაღლესი რაოდენობა ტანვარჯიშში. 3. სპორტული ინვენტარი. 4. სპორტის ერთ-ერთი სახე ა. შ. შ. 6. ჰელსინკის ასპარეზობის მონაწილე—სსრ კავშირის ოსტატი გოგონა. 9. დახელოვნებული გიმნასტი—რთული ნომრების შემსრულებელი ცირკში. 10. უმაღლესი მიღწევა სპორტულ შეჯიბრებაში. 11. სპორტული საზოგადოება საბჭოთა კავშირში. 12. შორსსამზერი იარაღი. 13. სუფთა გამარჯვება კრივში. 14. სარბენი მანძილის დასასრული. 15. ქართული ცხენოსნობის სპორტის სახე. 18. ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი. 20. სპორტის სახე. 23. სპორტული ოლიმპიური ჯილდო. 27. მთა თბილისის ახლოს.

### ჰორიზონტალურად

2. საბჭოთა კავშირის უძლიერესი ძალოსანი. 5. სატანვარჯიშო იარაღი. 7. მეძებარი ძაღლის ილეთი მსხვერპლის წინ. 8. გონივრული თამაში. 16. საქ. სსრ ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე. 17. რკინიგზის მუშათა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება. 19. ბილიარდის ჯოხი. 21. დიდი სპორტული შეჯიბრი—ზეიმი. 22. სპორტულ მოედნებზე სატყორცნი ნივთი. 24. რა განსაზღვრავს სპორტსმენის რბენის შედეგს? 25. მოჭიდავის ხერხი, ანუ? 26. ჭადრაკის ფიგურა. 28. მსაჯის ერთ-ერთი ძახილი საკრივო ბაქანზე. 29. სახელმწიფო ევროპაში, რომლის ოსტატი მოჭადრაკე ჰანს კმოხი 1934 წელს დაამარცხა ვ. გოგლიძემ.

შეადგინა ქ. კასრაძემ



ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა